



მინდია გოსტამაშვილი

**დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საპროცესო
შეთანხმების დადებისას**

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ირინა აქუბარდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

ნაშრომი წარდგენილია

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე

თბილისი
2019

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა :	4
შესავალი	5
თავი I. საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ, ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით	8
1.1 საპროცესო შეთანხმების ისტორიული ექსკურსი.....	8
1.2 საპროცესო შეთანხმება და მისი თავისებურებანი ანგლო- ამერიკულ სამართალში	9
1.3 საპროცესო შეთანხმება კონტინენტური სამართლის ტიპის ქვეყნებში	13
თავი II. საპროცესო შეთანხმება საქართველოში	15
2.1 საპროცესო შეთანხმების წარმოშობა საქართველოში	15
2.1.2 საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი რეგულაცია.....	16
2.2 საპროცესო შეთანხმების დადება 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ (დღეს მოქმედი მოდელი).....	18
თავი III. დაზარალებულის პროცესუალურ - სამართლებრივი როლი	19
3.1 დაზარალებულის ცნების ზოგადი დახასიათება	19
3.2 დაზარალებულის პროცესუალური როლი 1998 წლის 20 თებერვლისა და მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსების მიხედვით	20
3.3 საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსის შესახებ.....	23
თავი IV. დაზარალებულის უფლებამოსილება საპროცესო შეთანხმების დადებისას.....	25
4.1 დაზარალებულის სამართლებრივი როლი საპროცესო შეთანხმებისას.....	25
4.2 საპროცესო შეთანხმება და პროკურორის მიერ დაზარალებულის ინტერესების შეზღუდული დაცვა	27
4.3 საპროცესო შეთანხმების პირობები და დაზარალებულის ინტერესი.....	31
4.4 დაზარალებულის ინტერესების ასახვა საპროცესო შეთანხმების დოკუმენტებში	33
4.5 დაზარალებულის მხრიდან წერილობითი მოსაზრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა.....	34
4.6 სასამართლოს როლი დაზარალებულის ინტერესთან მიმართებაში	40
4.7 საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბრალდებულის პასუხისგებლობისგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება და დაზარალებულის უფლებები	43
4.8 დაზარალებულისათვის საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შეზღუდვა ..	45

თავი V. სასამართლო პრაქტიკა და საპროცესო შეთანხმების გამოყენების	
სტატისტიკა	50
5.1 საერთო სასამართლოების პრაქტიკა	50
5.2 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები	53
5.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	56
5.4 საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა საქართველოში	57
დასკვნა	60
ბიბლიოგრაფია :.....	63

გამოყენებული აბრევიატურა :

იხ - იხილეთ

დაწ - დაწვრილებით

გვ - გვერდი

სხვ - სხვა

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სსსკ - სისხლის სამართლის პროცესი

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

შესავალი

თემის აქტუალობა - საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მეტად საინტერესო პროცესულური ინსტიტუტია, რომელსაც მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს და მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაც.

საპროცესო შეთანხმებას, როგორც პროცესულურ მოცემულობას ბევრ დადებით მხარესთან ერთად ბევრი უარყოფითი თვისებაც გააჩნია. ერთ-ერთი უარყოფითი ფაქტორი სწორედ დაზარალებულის უფლებებზე მდგმარეობაა. წინამდებარე სამაგისტრო თემაში შესაბამისად განხილული იქნება აღნიშნული ინსტიტუტის სისხლისამართლებრივი ბუნება, და გაანალიზდება მისი მიმართება, დაზარალებულის, როგორც დანაშაულებრივი ქმედებისგან ყველაზე მეტად ზიან მიყენებული მონაწილის მიმართ. საპროცესო შეთანხმება, თავისთავად, დაზარალებულის ინტერესებს ხელყოფს და ერთგვარად ორგვარად აზარალებს მას, როგორც კონკრეტული ზიანის მიღებით, ისე პროცესულური ბერკეტის არ ქონით, რაც გამოიხატება იმ ასპექტში, რომ დაზარალებულ მხარეს არ აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს იგი. არის დანაშაულთა გარკვეული კატეგორიები, რომლის დროსაც თვალსაჩინოა მსხვერპლისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანი, საპროცესო შეთანხმებით კი ხშირად ბრალდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებით, დაზარალებულის ინტერესი სათანადო პასუხის გარეშე რჩება. საპროცესო შეთანხმებას თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს საქართველოში მისი თხუტმეტწლიანი არსებობის მანძილზე, და აღნიშნულზე სასამართლო სტატისტიკაც მიუთითებს.

თემის პრობლემატიკა: საპროცესო შეთანხმება, საკამოდ მობილური ფორმაა საგამომიებო ორგანოებისათვის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს და ამ შემთხვევაში, არც ზემოთ ჩემს მიერ ნახსენები, ინსტიტუტია გამონაკლისი. ვინაიდან, ხშირად, სწრაფი მართლმსაჯულების იდეას საკამოდ წონადი ინტერესები ეწირება, როგორც დაზარალებულის, ისე მთლიანად ქვეყანაში დამნაშავეობასთან ბრძოლის მექანიზმების. ხშირად საპროცესო შეთანხმება იწვევს უდანაშაულო პირის მსჯავრდებას, ან კიდევ დამნაშავე პირს ტოვებს დაუსჯელს. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს უკავშირდება ე.წ „ცრუ აღიარების“ და „არაგულწრფელი მონანიების“ შემთხვევებიც. საპროცესო შეთანხმების პრობლემატიკას უკავშირდება ზიანის ანაზღაურების სირთულე და დაზარალებულის მხრიდან პროცესულური ბერკეტის არ ქონა.

ერთი შეხედვით, საკამოდ უწყინარი ინსტიტუტი უამრავი პრობლემის შემცველია და სწორედ აღნიშნული გახდა ერთგვარად მაპროვოცირებელი ჩემთვის, როგორც სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტისათვის, არჩევანი შემეჩერებინა ამ მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემაზე, თემისადმი დიდი ინტერესიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომში შევეცადეთ სამეცნიერო ჭრილში გაგვეანალიზებინა ის პრობლემები, რაც საპროცესო შეთანხმებას ახასიათებს, განსაკუთრებით დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის კონტექსტში.

კვლევის პროცესში საკმაოდ დიდი დახმარება გაგვიწიეს, როგორც ქართველი მეცნიერების, იურისტების ნაშრომებმა, ისე უცხოურმა სტატიებმა, არასამათავრობო ორგანიზაციების ანგარიშებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებმა და მიმოხილვებმა.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა და სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენებამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა თემის პრობლემატიკა და დაგვანახა ის ხარვეზები, რაც საპროცესო შეთანხმებას, ამ მართლაც პროცესუალურად ყველაზე მოხილურ ფორმას ახასიათებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით.

ნაშრომის მიზანია - მკითხველს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა საპროცესო შეთანხმების შესახებ კონკრეტული მიმართულებით, დაანახოს სისხლის სამართალში დაზარალებულის სამართლებრივი ადგილი და შემდგომში იურიდიული კუთხით წარმოაჩინოს დაზარალებულის პროცესუალურ სამართლებრივი მდგომარეობა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. ნაშრომის ამოცანაა, გამოკვეთოს ერთი შეხვედითი მარტივი პროცესუალური ინსტიტუტის ნეგატიური სახე და აღწეროს მის პრობლემატიკა ამ სეგმენტში.

კვლევის მეთოდები - სამაგისტრო ნაშრომში საკითხის სიღრმისეულად გასარკვევად და სათქმელის მკაფიოდ გადმოსაცემად, სხვადასხვა სამეცნიერო მეთოდები კომბინირებულ რეჟიმში იქნება გადმოცემული, ერთისმხრივ მოხდება, შედარებით- სამართლებრივი მეთოდების გამოყენება, რათა მოხდეს ამ ინსტიტუტის შედარება სხვა ქვეყნების პროცესუალურ მიდგომებთან, როგორც ანგლო-ამერიკული სამართლის, ისე კონტინენტური სამართლის ტიპის ქვეყნებთან.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება აგრეთვე ისტორიულ-სამართლებრივი მეთოდი, რომლის მიხედვითაც ისტორიულ ჭრილში გაანალიზდება საპროცესო შეთანხმების წარმოშობის საფუძვლები, მისი ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის განმაპირობებელი ფაქტორების გათვალისწინებით.

საკითხის სიღრმისეულად გადმოსაცემად და საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო ინსტიტუტის მკაფიოდ გასაშლელად, მოხდება სტატისტიკური მონაცემებისა, და ასევე ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკული სინთეზ-ანალიზი და ინტერპრეტაცია, აღნიშნული ემსახურება თეორიული ასპექტების პრაქტიკულ სეგმენტთან მისადაგებას.

საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, სამაგისტრო თემის პრობლემური საკითხების მიმოხილვისას, გამოყენებულ იქნება ცოდნის დედუქციური მეთოდი, რომლის თანახმადაც, თავდაპირველად მოხდება ზოგადი საკითხის მიმოხილვა და შემდგომ მის საშუალებით კონკრეტული საკითხის გამოკვეთა.

ნაშრომის სტრუქტურა- წინამდებარე სამაგისტრო თემა, ხუთ თავისაგან შედგება, თითოეული თავი, რა თქმა უნდა, ემსახურება ნაშრომის პრობლემატიკის წარმოჩენას. პირველი თავი, დაეთმობა საპროცესო შეთანხმების მოკლე ისტორიულ ეკსკურსს, აგრეთვე გაანალიზდება აღნიშნული ინსტიტუტის რეგულაცია ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნების ნაწილში დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის კონტექსტში. მეორე თავი, დაეთმობა საპროცესო

შეთანხმების დამკვიდრების ასპექტებს საქართველოში, მის ევოლუციურ განვითარებას, და მიმართებას დაზარალებულთან. მესამე თავი, ემსახურება დაზარალებულის ცნების განხილვას სამართლებრივ სეგმენტში, მის ადგილს სისხლის საპროცესო სამართალში. მეოთხე თავი, ფოკუსირებული იქნება, დაზარალებულის პროცესუალურ როლზე, უშუალოდ საპროცესო შეთანხმების ნაწილში, ამჯამინდელი საკანონმდებლო მდგომარეობით. მეხუთე თავი, დაეთმოება პრაქტიკისა და სტატისტიკის შეფასებას, სათქმელის უკეთ აღსაწერად და გადმოსაცემად. ნაშრომის ბოლოს, მოცემული იქნება დასკვნა, რომელშიც ავტორი მოკრძალებულად შეაფასებს, სამაგისტრო თემაში განხილულ პრობლემატურ საკითხებს. მთლიანობა ჯამში, ნაშრომის ვერტიკალი მიმართულია დაზარალებულის ინტერესის წარმოსაჩენად, ქმედითი და არაქმედითი ბერკეტების აღსაწერად, რომელიც დაზარალებულს აქვს საპროცესო შეთანხმების დადებისას.

თავი I. საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ, ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

1.1 საპროცესო შეთანხმების ისტორიული ექსკურსი

საპროცესო შეთანხმების “კვაზი საფუძვლები” ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ევროპული სამართლებრივი მიდგომიდან იღებს სათავეს. პასუხისმგებლობის შემცირება „რადაცის აღიარების ან რაიმეზე უარის თქმის სანაცვლოდ” მიღებული იყო როგორც ევროპული ცივილიზაციისათვის, ისე ამერიკული სამართლებრივი დოქტრინისათვის. 1633 წელს გალილეო გალილელის „წმინდა ინკვიზიციამ შეუფარდა შინაპატიმრობა ყოველკვირეული მონანიების, ფასალმუნების კითხვისა და კოპერნიკის სწავლების უარყოფის სანაცვლოდ. 1931 წელს ცნობილმა განგსტერმა და ბანდიდტმა ალ კაპონემ თავი ცნო დამნაშავედ გადასახადების დამალვაში და ამის სანაცვლოდ მას შვიდნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ალკატრასის ციხეში. მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობაში ბრალდებულმა ჯეიმს ერლ რეიმ 1969 წელს სასიკვდილო განაჩენის ასაცილებლად თავი დამნაშავედ ცნო და მას სასამართლომ 99 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საპროცესო შეთანხმება ამერიკაში გამოიყენეს ვიცე-პრეზიდენტის სპირო ტეოდორ ეგნიუსის მიმართაც, რომელსაც ბრალდება თაღლითური გზით გადასახდების დამალვასა და გამოძალვაში ედავებოდა.¹

მთავარი ღერძი ისტორიულ სინამდვილეშიც და ახლაც საპროცესო შეთანხმების გახლავთ ბრალის აღიარება, ბრალის აღიარებას განიხილავს თუ არა კონკრეტული სახელმწიფო ძირეულ მტკიცებულებად, ეს უკვე ცალკე საკითხია და ადგილობრივი კანონმდებლობის პრეროგატივა, ვინაიდან მტკიცებულებითი სტანდარტი ევრო სასამართლოს განმარტებით ერთგვარად ადგილობრივი სულის გამომხატველია.²

აღსანიშნავია, ისიც, რომ ევროპაში დღემდე არ არსებობს სისხლის სამართლის რაიმე ერთიანი მოდელი და ქვეყნებს შორის არსებით სტრუქტურულ განსხვავებებს აქვს ადგილი. პროფესორ მარტინ ჰეგერის განმარტებით, კონტინენტური ევროპის მრავალი სახელმწიფოს სისხლის სამართლის პროცესი ძნელად შედარებადია საერთო სამართლის სამართლებრივი ოჯახის სახელმწიფოთა, მაგალითად, ინგლისის სისხლის სამართლის პროცესთან. სხვადასხვა კატეგორიის საქმეების სისხლის სამართალწარმოების შედარების დროს უფრო იკვეთება თითოეული სისტემის პროცესუალური თავისებურებანი.³

¹ დ. მანაგაძე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი”, N-1, 2010, გვ. 28

² ბ. ნიპარიშვილი, მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N -3, თბ., 2017, გვ.7

³ დაწ. მ. ჰეგერი, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობაში, როგორც სისხლის სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, “ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი”, N-2, 2016, გვ.4

1.2 საპროცესო შეთანხმება და მისი თავისებურებანი ანგლო- ამერიკულ სამართალში

საპროცესო შეთანხმების კლასიკურ სამშობლოდ ამერიკის შერთებული შტატები ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ იქ საქმის არსებითი განხილვის უფლება კონსტიტუციით გარანტირებული და დაცულია, ამერიკელი ერი ამის ფონზე საპროცესო შეთანხმებას არაკონსტიტუციურ მოცემულობად არ თვლის.

„სისხლისამართლებრივი დევნის ყველა შემთხვევაში ბრალდებულს აქვს მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სწრაფი და საჯარო სასამართლო განხილვის უფლება იმ შტატის და ოლქის მიერ, სადაც ჩადენილი იქნა დანაშაული“. კვითხულობით ამერიკის კონსტიტუციის მე-6 შესწორებაში.⁴

საპროცესო შეთანხმებას, ამერიკის სამართლებრივ სისტემაში, დღესდღეობით, დომინანტური როლი უჭირავს, დაახლოებით საქმეთა 95 პროცენტი ამერიკაში საპროცესო შეთანხმებით მთავრდება.⁵ კრიტიკოსები საპროცესო შეთანხმებას უჩინარ მართლმსაჯულებას უწოდებენ. ამერიკული გაგებით საპროცესო შეთანხმება (“plea bargain”) – ეს არის შეთანხმება პროკურატურასა ბრალდებულს შორის - ბრალდების ფარგლებისა და სასჯელის შესახებ.⁶

ამერიკაში საპროცესო გარიგება სხვადასხვა საფუძველს შეიძლება დაეფუძნოს : „charge bargaining“; sentence bargaining“; fact bargaining“. ⁷ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საპროცესო შეთანხმების სამივე ამ სახეში მეტ-ნაკლებად უგულბებელყოფილია.

„Charge bargaining“- შეთანხმების საყოველთაოდ ცნობილი და ხშირად გამოყენებადი ფორმაა, ამ დროს მოლაპარაკება წარმოებს ბრალის აღიარების თაობაზე, რომლის დროსაც ბრალდებულს მძიმე დანაშაულში ბრალდების სანაცვლოდ უტოვებენ, მცირე ბრალდებას, სასჯელის ტრანსფორმაციის გარეშე.

„Sentence bargaining“ – აღნიშნული საპროცესო შეთანხმების ფართოდ გავრცელებული მეთოდია, არა მარტო ამერიკაში არამედ ევროპის არაერთ ქვეყანაშიც, ამ დროს მოლაპარაკება მიმდინარეობს კონკრეტულ დანაშაულში ბრალის აღიარების სანაცვლოდ, მსუბუქი სასჯელის მოთხოვნის პირობით.

„Fact bargaining“- ასეთი საპროცესო შეთანხმების დროს ბრალდებული და ბრალდების მხარე თანხმდებიან გარკვეული ფაქტების არსებობა არარსებობაზე, რასაც საბოლოოდ ბრალდებულისათვის მისაღები შედეგი მოსდევს.⁸

ამერიკაში საპროცესო შეთანხმების მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ ის გადაიქცა მართლმსაჯულების განხორციელების გამომრიცხველ გარემოებად, აქ

⁴ ვ. გონაშვილი, „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, ტომი I, თბ., 2008, გვ.34

⁵ Michael Ohear, „plea bargaining and procedural justice“, Georgia Law Review,(article N - 2), 2008, p.409

⁶ დ.მანაგაძე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N-1, 2010 წ. გვ. 27,

⁷ Andrew Ashworth, the Criminal process, second edition, Oxford University Press, 1998, p.273-275

⁸ დ. მანაგაძე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N-1,თბ., 2010 გვ.27-28, აგრეთვე იხ.:

www.criminal.findlaw.com/procedure/plea_bargains_in_depth.html. ბოლოს ნანახია (10.05.2019)

არის სწრაფი და ეფექტიანი პროცესი მაგრამ ეს არ არის ნამდვილი მართლმსაჯულება.⁹

სასამართლო ამერიკაში ხშირად **დაზარალებულსაც უსმენს და მათ მოსაზრებებსაც ითვალისწინებს, მოსაზრებების გათვალისწინება ძირითადად ზიანის ანაზღაურების პირობებში გამოიხატება.** ზიანის ანაზღაურება ერთგვარად სახელმწიფოს რეაქციაა დანაშაულებრივი ქმედებისადმი და აღნიშნული ფაქტი დამნაშავეს უნდა განემარტოს, მოსალოდნელი სასჯელის სახით. ფედერალური შტატების სასამართლო თავისთავად იძლევა „ბრალზე ვაჭრობის“ შესაძლებლობას, თუმცა ეს ვაჭრობა განუსაზღვრელი არ არის და საკანონმდებლო იმპერატივებში ექცევა.¹⁰

უზენაესმა სასამართლომ საპროცესო შეთანხმების კონსტიტუციურობაზე მნიშვნელოვანი დათქმები გააკეთა, საქმეში „Brady v. United States“. აღნიშნულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ ზემოთ ნახსენები მოლაპარაკებები კონსტიტუციონერ ჭრილში განიხილა და კანონიერად ჩათვალა, სახელმწიფო ბრალდებულს უმსუბუქებს სასჯელს იმიტომ, რომ მისი აღიარების წყალობით იზოგება პროცესისათვის საჭირო ხარჯები და არის მზაობა პირის „გულწრფელი გამოსწორების“ და ზიანის ანაზღაურების.¹¹

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ყველა შტატში ერთნაირი არ არის და ზოგ ერთეულში მას საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვს სახელმწიფოსგან. მაგალითად, კალიფორნიის სასჯელაღსრულების კოდექსის მიხედვით გამოყოფილია დანაშაულთა კატეგორიები, რაზეც შეზღუდულია საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ეს შეხება ფელონიის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებს, რომელზეც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, ან კიდევ სიკვდილით დასჯა. საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი პირობაა, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დამნაშავე მზაობას უნდა გამოთქვამდეს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას განსაზღვრავს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხარისხი. საპროცესო შეთანხმებას ამერიკაში და ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში აკრიტიკებენ იმის გამო, რომ დაზარალებულ ერთმევა სიტყვის თქმის უფლება საქმის განხილვისას.

„ერთ-ერთმა ამერიკელმა ქალბატონმა, რომლის შვილის მოკვლაც დამნაშავემ ცეცხლსასროლი იარაღით სცადა, განაცხადა რომ პროკურორები უნდა მოქმედებდნენ დაზარალებულის სახელით და ისინი არ აკეთებენ ამას. ერთ-ერთ საქმეში დაზარალებულმა განაცხადა რომ ჩვენ დაგვებრძავეს აღიარებით და უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლება“. ¹² იმის მიუხედავად, რომ ამერიკაში

⁹ ი.კოტეტიშვილი, საპროცესო შეთანხმება- შედარებითი მიმოხილვა, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N-2,2013, გვ.188

¹⁰ დაწ. „საპროცესო შეთანხმება და საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“: ეროვნული სამართალი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რედ. ლ.მესხორაძე, თბ,2016, გვ.117,

¹¹ Brady v. United states, 397, U.S. 742, 744 (1970)

¹² კ.ჩიხლაძე, „ საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ.,2014, გვ. 46-47.

დაზარალებულებს ეძლევათ შესაძლებლობა მიყენებული ზიანი აინაზღაურონ, არის დანაშაულები, რომლის მხოლოდ ფინანსური შეფასება შეუძლებელია .

ამერიკაში საპროცესო შეთანხმებას, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა დადებით მოვლენად თვლიან, ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერის განმარტებით ის არის „კონსტიტუციასთან შესაბამისი ინსტიტუტი და ემოციური სტრესის თავიდან აცილების საშუალება დაზარალებულისათვის.“¹³ თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს რომ მეცნიერთა ნაწილი მას მაინც აკრიტიკებს. მაგალითად, ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერი, თავის ნაშრომში საპროცესო შეთანხმების ხუთ ნეგატიურ მხარეს ჩამოთვლის და ერთ-ერთი უარყოფითი თვისება მისი განმარტებით სწორედ **დაზარალებულის** მდგომარეობაა. მსხვერპლი საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე იმას არ იღებს რასაც მოელის მართლმსაჯულების სისტემისაგან. ნაკლების სასჯელის დაკისრება მთელ რიგ შემთხვევებში მართლმსაჯულების ინტერესებს ეწინააღმდეგება.¹⁴

საპროცესო შეთანხმება თავის ადგილს იკავებს **ინგლისურ** სისხლის სამართლის პროცესშიც და დაზარალებულთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები აღნიშნულ ქვეყანაშიც გარკვეულწილად თვალში საცემია. ინგლისში მუდმივად მიდის მუშაობა სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტების დახვეწისა და განვითარებისაკენ, ამისათვის მათ სპეციალური კომისიებიც კი აქვთ შექმნილი, მაგალითად, სამართლის რეფორმის კომისია (law commission) და სისხლის სამართალწარმოების სპეციალური სამეფო კომისია (royal commission on criminal Procedure).¹⁵ ინგლისური სასამართლოები საკმაოდ ნეგატიურად უყურებენ ბრალდებასა და დაცვას შორის გარიგებას, ბრალის აღიარების შესახებ. ინგლისელი კრიტიკოსების განმარტებით ინგლისურ სისხლისსამართლებრივ სისტემაში აღნიშნულ ინსტიტუტს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თუმცა, ბრალის აღიარების შესახებ მოლაპარაკებები დაცვასა და ბრალდებას შორის ყოველთვის მიმდინარეობს. ბრალის აღიარება მთელ რიგ შემთხვევებში პროცესის დაჩქარებულ ტემპში წარმართვას იწვევს.¹⁶

ინგლისელთა განმარტებით მთელ რიგ შემთხვევებში გაუმართლებელია პირისათვის პასუხისგებლობის შემცირება, ბრალის აღიარების მოტივით. ერთ-ერთი ინგლისელი პროცესუალისტი ბრალის აღიარებას ნეგატიურ ასპექტში განიხილავს და ამის მაგალითად საინტერესო ქეისი მოყავს, რომელშიც სკოლის დირექტორმა, **რობინ პევერტმა**, გარყვნილი ქმედების აღიარების საფუძველზე სოლიდურად შეიმცირა მოსალოდნელი სასჯელი და გაუპატიურების ბრალდებას თავი აარიდა. პევერტმა აღიარა, რომ ის თავის ქმედებით ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა

¹³ Tina Wan, the Unnecessary evil of Plea Bargaining : an Unconstitutional conditions Problem and a not so – least restrictive alternative, Journal of Law (N-4), California, 2012 P. 40-42

¹⁴ E. Chemerinsky, L. L. Levenson, Plea Bargaining And Guilty Pleas, Chapter 9, Book : Criminal Procedure, Third Edition, California, 2018, p. 913.

¹⁵ კ.ფ.გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა ფილიმინოვი, „დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი,“ თბ.,2007, გვ.70, აგრეთვე : Andrew Ashworth, the Criminal process, second edition, Oxford University Press, 1998, p.287-288

¹⁶ დაწ. რ.გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე?! ჟურ. “პროცესია ადვოკატი“, N-2, თბ.2007, გვ.87, აგრეთვე , ა. ჯავახიშვილი, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ჟურ. აკადემიური მაცნე, N-1, თბ., 2014, გვ.32

გოგონებზე და არ მოქმედებდა საკუთარი სექსუალური სურვილების დაკმაყოფილების მიზნით. ავტორი საინტერესო დათქმას აკეთებს მსხვერპლის მიმართ და აღნიშნავს, რომ ქალს, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, **უწევს გააგრძელოს ცხოვრება არა მხოლოდ იმის გათვინობიერებით, რომ თავადასხმელი იღებს იმაზე ნაკლებ სასჯელს ვიდრე რეალურად იმსახურებს**, არამედ იმ ფაქტთან ერთად, რომ საქმის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით **ის არც კი გაუპატიურებიათ**. ავტორის განმარტებით, ამდაგვარი გარიგებები ყოველთვის გამოიწვევს მსხვერპლში და აგრეთვე საზოგადოების თითოეულ წევრში, „გაუსაძლისი ტკივილის შეგრძნებას“.¹⁷

საპროცესო შეთანხმების კუთხით საინტერესოა **ინდოეთის** სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა. ციხეებში უამრავი პატიმრის არსებობამ და სასამართლო პროცესთა გაჭიანურების თავიდან აცილებამ განაპირობა საპროცესო შეთანხმების დანერგვა ინდოეთში.

ინდოეთის ციხეებში განთავსებული იყო ერთი მილიონით მეტი პატიმარი, ვიდრე ამის შესაძლებლობას იძლეოდა ინდოეთის ციხეთა რაოდენობა. ასევე სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებს უწევდათ ლოდინი სამი ხუთი წლის მანძილზე, სანამ მათი საქმეები სასამართლოს მიერ განიხილებოდა.¹⁸ ამ პრობლემების გამო სისხლის სამართლის „რეფორმის კომისიამ“ დღის წესრიგში დააყენა მართლმსაჯულების გამარტივების საკითხი.¹⁹ საპროცესო შეთანხმება საინტერესოა, **დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის** კუთხით, მისი დადება განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულებზეა შესაძლებელი. **მძიმე დანაშაულში ბრალდებულებს საპროცესო შეთანხმება არ უფორმდებათ** და მისი გაფორმება მხოლოდ 7 წელზე ქვემოთ მყოფი დანაშაულების დროს შეიძლება. ინდოეთში საპროცესო შეთანხმების დადების შემაკავებელი გარემოებაა თუ დანაშაული ჩადენილია ქალის, ან 14 წელს მიუღწეველი არასრულწლოვანის მიმართ.²⁰

ბრალის აღიარებასთან ერთად დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება საპროცესო შეთანხმების აუცილებელი წინაპირობაა, წინამდებარე ფაქტორი მსხვერპლისათვის უფრო მეტ დაცვად გარანტიებს ქმნის. სასამართლო უფლებამოსილია დაზარალებულს მიაჩიოს კონვენსაცია, მხარეთა შეთანხმებიდან გამომდინარე.²¹

¹⁷ Mike McCononville & Geoffrey Wilson, The Handbook of The Criminal Justice Process, Oxford university Press, 2002. p.373

¹⁸ დ.მანაგამე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N-4, თბ, 2010, გვ.29, აგრეთვე, კ. ჩიხლაძე, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2014, გვ. 50-51

¹⁹ Rajat Bawaniwal, Plea bargaining in the Indian Criminal Justice System : an Analysis, The World journal , (N-5) New delh, 2017, p.7

<http://jurip.org/wp-content/uploads/2017/03/Rajat-Bawaniwal.pdf> ბოლოს ნანახია (19.06.2019)

²⁰ დ.მანაგამე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N-4, თბ, 2010, გვ.30

²¹ Rajat Bawaniwal, Plea bargaining in the Indian Criminal Justice System : an Analysis, The World journal ,New delh, 2017, p.8,

ამრიგად, ინდოეთი დაზარალებულის ინტერესებს საკმაოდ ითვალისწინებს შეთანხმების გაფორმებამდე, და დაზარალებულს და ბრალდებულს აძლევს მოლაპარაკების საშუალებას ზიანის ოდენობის განსაზღვრის საკითხში. საპროცესო შეთანხმება ინდოეთში განიმარტება იმგვარ ინსტიტუტად სადაც საჭიროა როგორც პროკურორის ისე დაზარალებულის თანხმობა, იმ შემთხვევაში როდესაც არ ხდება კომპენსაცია.²²

1.3 საპროცესო შეთანხმება კონტინენტური სამართლის ტიპის ქვეყნებში

საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად სწრაფი მართლსაჯულების დანერგვისა და განხორციელების სურვილი, აქტიურად გამოიყენება კონტინენტური სამართლის მქონე ქვეყნებშიც. ამ მხრივ, საინტერესოა საფრანგეთის და ასევე ყოფილი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნის, ესტონეთისა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

საფრანგეთში საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გამარტივებული წარმოების თავშია მოქცეული, მისი შემოღების მიზანი იყო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და მისი დამარცხება.

საპროცესო შეთანხმება საფრანგეთში თავისებური ფორმით გამოირჩევა, პირველ ეტაპზე მისი გამოყენება საკმაოდ შეზღუდულად ხდებოდა სანამ 2004 წელს არ მიიღეს სპეციალური კანონი „პერბენ ორი“, რომელმაც უშუალოდ დაარეგულირა საპროცესო შეთანხმების გამოყენება ორგანიზებული დანაშაულების მიმართ.²³ საქართველოსა და საფრანგეთში დაახლოებით ერთ დროს იქნა შემოღებული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე.

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია ერთგვარად საპროცესო შეთანხმების დადების სისტემატიზაცია, ანუ კანონმდებელი **განსაზღვრავს კატეგორიებს და სამართლებრივ არეალს** თუ როდის და რა ვითარებაშია შესაძლებელი მისი გაფორმება. აღნიშნული **დაზარალებულის ინტერესების დაცვის** უფრო მყარ გარანტიებს იძლევა, მაგალითად, საფრანგეთში საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაშვებულია ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტის გამო, აგრეთვე იმგვარ სამართალდარღვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის წესებთან და მათ დარღვევასთან, და გათვალისწინებულია წინამდებარე კოდექსით. ამ ჩამონათვალში ხდება **სახმელეთო ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევასთან** დაკავშირებული დანაშაულები. ასევე საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია, ისეთ გადაცდომებზე რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო კოდექსის დარღვევებთან და მათზე არ არის დაწესებული თავისუფლების აღკვეთა.

²² K.V. Santhy, Plea bargaining in us and Indian Criminal Law confessions for Concessions university of law, Huderabad Press, 2013, p.86,

<http://www.commonlii.org/in/journals/NALSARLawRw/2013/7.pdf> ბოლოს ნანახია (19.06.2019)

²³ ნ. გაბრიჩიძე, საპროცესო შეთანხმება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N-3, თბ., 2003, გვ.57,

დაზარალებულის როლის ზრდას მიანიშნებს სისხლის სამართალწარმოებაში ის ფაქტი, რომ, თუ გამოძიების პროცესში საფრანგეთში დაზარალებულმა წარადგინა ზიანის ანაზღაურების შესახებ განცხადება, საპროცესო შეთანხმების გაფორმება ზიანის მიმყენებელ პირთან აკრძალულია. საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაუშვებელია თუ დანაშაული დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის წესების უხეშ დარღვევასთან და დაზარალებული ასეთი ქმედების *შედევად გარდაიცვალა ან კიდევ მის ჯანმრთელობას მიაღება ზიანი*.²⁴

დაზარალებულის (victim) როლი არის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი, რომლის გამოც საპროცესო შეთანხმებამ ისეთი მნიშვნელობა ვერ შეიძინა, როგორც ეს ამერიკასა და სხვა ქვეყნებშია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ საფრანგეთში არ ხდება პროცესის ეფექტურად და მოკლე ვადებში წარმართვა. მათ აქვთ შეკვეცილი პროცესი, ასევე აქვთ პროცესი, რომლითაც მხოლოდ ჯარიმის დაკისრება ხდება, სპეციფიური პროცესი საგადასახადო სამართალდარღვევებზე და სხვა.

საპროცესო შეთანხმების კუთხით საინტერესო სახელმწიფოა, ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყანა **ესტონეთი**. საპროცესო შეთანხმება ესტონეთში 90-იანი წლებიდან გამოჩნდა. ესტონური სისხლის სამართლის პროცესისათვისაც დამახასიათებელია, რომ კანონი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების გამოყენება.²⁵ აღნიშნული მიდგომით ესტონეთიც მიყვება დაზარალებულის ინტერესების დაცვის სტანდარტს. თუ საქმე შეეხება პირველი ხარისხის დანაშაულს და მისთვის გათვალისწინებულია 4 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, საპროცესო შეთანხმების გაფორმება ვერ მოხდება.

გამარტივებული წარმოებით საქმის გადაწყვეტის ინიციატორი შესაძლოა იყოს როგორც პროკურორი, ისე ბრალდებული. მოლაპარაკების წარმოების პროცესში ბრალდებული ადგენს დანაშაულის ხასიოს და არკვევს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას.²⁶ საპროცესო შეთანხმების გაფორმება ესტონეთში ჩაკეტილია არა დანაშაულის ობიექტის მიხედვით, არამედ დიფერენცირება ხდება სისხლისამართლებრივი პასუხისგებლობის ხარისხის მიხედვით.

ასეთი არის საპროცესო შეთანხმების ძირითად კონტურები და დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ტიპის მქონე ქვეყნების ნაწილში. მთავრი კონტური, რაც მათი საპროცესო კანონმდებლობის ანალიზიდან გამოჩნდა არის ის რომ ყველა კატეგორიის დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ ხდება და დაზარალებულს მეტი ბერკეტი გააჩნია როგორც სამართლიანობის აღდგენის ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

²⁴ დ.მანაგაძე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი”, N-4, თბ, 2010, გვ.32-33, აგრეთვე : ევრო გაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისიტემები“, რედ. ნ.გვენეტაძე, თბ., 2002, გვ.131

²⁵ დაწ. კ.ჩიხლაძე „საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2014, გვ.63.

²⁶ დ. მანაგაძე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N-4, თბ, 2010, გვ.34

თავი II. საპროცესო შეთანხმება საქართველოში

2.1 საპროცესო შეთანხმების წარმოშობა საქართველოში

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს საქართველოში დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 2004 წლის 13 თებერვლის კანონით გაჩნდა. მისი შემოღება განაპირობა იმდროინდელმა რეალობამ, რაც საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში არსებობდა. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში თავდაპირველად შემოღებული იყო 1998 წლის სისხლის სამართლის საკმაოდ მოცულობით კანონში. საპროცესო შეთანხმება კანონმდებლობაში შემოსატანად სხვა საკანონმდებლო პროექტებთან ერთად მომზადდა და მათ ერთიანობაში „ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ საკანონმდებლო პაკეტი“ ეწოდა.²⁷ საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი სახე, ნამდვილად ვერ პასუხობდა იმ პრინციპებს რასაც ეფუძნება თანმედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონები.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა პრეზიდენტ ე. შევარდნაძის სიძეს, გია ჯოხთაბერიძეს. აღნიშნული პიროვნება ბრალდებული იქნა გადასახადებისათვის თავის არიდებაში, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. საინტერესოა, რომ ბრალდებულმა თავისუფლების სანაცვლოდ 15 000 000 აშშ დოლარი გადაიხადა. რამდენად შეესაბამებოდა წინამდებარე შეთანხმება სისხლის სამართლის უზოგადეს პრინციპებს ძნელი სათქმელია. იყო შემთხვევები, როდესაც საპროცესო შეთანხმებზე უარი ნეგატიურ ტონად აღიქმებოდა ბრალდების მხარის მხრიდან, ამის მაგალითია სულხან მოლაშვილის საქმე. გარიგებაზე უარის პასუხად მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეთანხმება ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საკითხებზე, ასევე სასჯელზე, ყოველთვის საფრთხეს უქმნის სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. თავად აღნიშნულ ინსტიტუტს საფუძვლად უდევს პრინციპი „მე გამლევ იმისთვის რომ შენც მომცე“.²⁸ ასეთი მიდგომა ყოველთვის რისკის შემცველია ვინაიდან საპროცესო შეთანხმებას შემხებლობა აქვს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და არის შანსი მისი არასწორი მიმართულებით გამოყენების. **მსხვერპლის როლი საპროცესო შეთანხმების თავდაპირველ ვერსიაშიც** საკმაოდ უკანა პლანზე იყო გადაწეული და რაიმე მექანიზმი მისი ინტერესის დაცვის არ არსებობდა. ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების პირდაპირი დაჩქარებული გადმოტანა საქართველოში არ იყო

²⁷ დაწ. ა. ჯავახიშვილი, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ჟურ. „აკადემიური მაცნე“, N-1, თბ., 2014, გვ.32.

²⁸ თ.ლალიაშვილი, საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, „სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული“, თბ.,2013, გვ. 276

გამართლებული და სწორედ ამიტომ, შეექმნა საზოგადოებას მის თვისებებზე უარყოფითი დამოკიდებულება. „ქართული საზოგადოება მას წლების მანძილზე განიხილავდა ფულის გადახდის საშუალებად საპატიმროში ნაკლები წლების გატარების სანაცვლოდ.“²⁹

2.1.2 საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი რეგულაცია

რთული და ბურუსით მოცული იყო საპროცესო შეთანხმების ნორმატიული სტრუქტურაც და გარკვეულ ასპექტებში მთელ რიგ კითხვის ნიშნებს იწვევდა. 2006 წელს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით საპროცესო შეთანხმების დროს შესაძლებელი გახდა პირისათვის სასჯელის უმდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დაკისრება თუ მხარეებს შორის გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული წესის გამოყენებას დანაშაულის კატეგორია ვერ შეაფერხებდა, შესაბამისად ამ წესის გამოყენება ნებისმიერი ტიპის დანაშაულზე დაკანონდა *ეს კი თავისთავდ დაზარალებულის ინტერესთან კოლიზიას იწვევდა.*

საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეიძლებოდა როგორც ბრალზე ისე სასჯელზეც, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი იყო, ანუ ბრალდებულს შესაძლოა დანაშაული არ ეღიარებინა და მასთან მაინც მომხდარიყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ასევე ერთმანეთში იყო აღრეული ბრალის აღიარება და შეთანხმება ბრალზე, რაც ნამდვილად არ არის იდენტური ცნებები. პროფესორ რ. გოგშელიძის განმარტებით, „ბრალის ბუნება გამორიცხავს მასზე შეთანხმებას. პირის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა. არ შეიძლება ეს უფლება გადაეცეს პროკურორს.“³⁰

საინტერესოა, რომ მეცნიერთა ნაწილს საპროცესო შეთანხმების ორ საფუძველზე ბრალზე ან სასჯელზე არსებობა გამართლებულად მიაჩნდათ.³¹ პ. მონიავას განმარტებით თითოეულ სახელმწიფოში საპროცესო შეთანხმებას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშანი გააჩნია, რაც აახლოებს ან კიდევ აშორებს საპროცესო შეთანხმებას ადამიანის ძირითად უფლებებთან.³² ადრეულ პერიოდში საკმაოდ ბუნდოვანი იყო სასჯელზე შეთანხმების საკანონმდებლო განმარტება, „ბრალდებული ბრალს არ აღიარებს, თუმცა არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას და სასჯელის ზომას“. აღნიშნული წესი ისეთ პირების მიმართ გამოიყენებოდა, რომელთაც სურდათ საპროცესო შეთანხმების დადება, თუმცა არ უნდოდათ დანაშაულის აღიარება და ასევე „თანახმანი იყვნენ სხვადასხვა

²⁹ Cynthia Alkon, Plea Bargaining as a Legal Transplant: A Good Idea for Troubled Criminal Justice Systems, Texas A&M University School of Law, article, 2010, p.362,

³⁰ რ.გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე?! ჟურ. „პროფესია ადვოკატი“, თბ.2007, N2, გვ.91

³¹ სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, ჯ. გახვიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბ.,2012, გვ. 251

³² პ.მონიავა, საპროკურორო სამართალი, თბ, 2015, გვ.111

ფონდებში ფულის გადარიცხვისათვის.“³³ ფაქტობრივად, **დაზარალებულის დამცირების ტოლფასი** იყო ამგვარი შემთხვევა, პირი დანაშაულს არც კი აღიარებდა და მას საპროცესო შეთანხმებას უფორმებდნენ. თავისთავად, საპროცესო შეთანხმების მცდარი კონცეფცია ნებისმიერი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისათვის დამაზიანებელია.

2004 წლის 24 ივლისი საპროცესო შეთანხმებას, ფართო ასპარეზი მისცა საკანონმდებლო ცვლილებამ, რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული საპროცესო შეთანხმების დადება მაშინაც კი, თუ ბრალდებული არ მიაწვდიდა გამოძიებას ინფორმაციას მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე უფრო მძიმე დანაშაულის ან უფრო მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.³⁴

საპროცესო შეთანხმების ადრეულ ვერსიაშიც შესაძლებელი იყო მისი გაფორმება ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე. თუმცა, კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნა გახლდათ წინასწარ ზედამხედველი პროკურორის თანხმობა საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს ნებართვა იმის მიმანიშნებელი არ იყო, რომ პირს საპროცესო შეთანხმებას **დაზარალებულის ინტერესებიდან** გამომდინარე არ გაუფორმებდნენ.

საინტერესო ფაქტია, რომ, საპროცესო შეთანხმების თავდაპირველ რედაქციაში, მოსამართლეს საპროცესო შეთანხმების უბრალო დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის გარდა საკმაოდ ხელშესახები უფლებამოსილება გააჩნდა კანონის დონეზე. საპროცესო შეთანხმების სულ პირვანდელ საკანონმდებლო მოდიფიკაციაში, თუ მოსამართლე პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევდა, მას სასჯელის შემსუბუქების უფლება ჰქონდა.³⁵

დაზარალებულის ინტერესები საპროცესო შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით თავდაპირველ ეტაპზეც ირელევანტური იყო. პროკურორი, რომელიც ამ ინსტიტუტის მთავარი აქტორი გახლდათ, **დაზარალებულის ნება-სურვილს** საპროცესო შეთანხმების დადების დროს არ ითვალისწინებდა. ერთადერთი გამოსავალი ამ დროს გ. ჭანტურიძის განმარტებით იყო “შხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვა სამოქალაქო სარჩელით”.³⁶

³³ დაწ. გ.მეფარიშვილი, „მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკის ქართული ვარიანტის ზოგიერთი ასპექტი“, სამართლის პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ.33-34

³⁴ ვ.მონიავა, საპროკურორო სამართალი, თბ., 2015, გვ.112

³⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში“, თბ., 2012, გვ.9

³⁶ გ.ჭანტურიძე, „საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში“, თბ., 2007, გვ. 74, აგრეთვე, მ. სალხინაშვილი, ნ. შუბლაძე, სისხლის სამართლის პროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო შეთანხმების თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურ. „მართლმსაჯულება“ N-3, თბ.,2007, გვ.17

2.2 საპროცესო შეთანხმების დადება 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ (დღეს მოქმედი მოდელი)

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესმა 2014 წელს არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განიცადა, ცვლილებები შეეხო საპროცესო შეთანხმების მომწესრიგებელ ნორმებსაც, და საბოლოო ჯამში საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი მოდელი საკმაოდ დაშორდა მის ახლანდელ სახეს.³⁷

სსსკ-ის 209-ე მუხლის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით : სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. აღნიშნულ მუხლში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებაა, შესაბამისად ეს ავითარებს სწორ მიდგომას საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.

„დანაშაულის აღიარება“ გახდა ფუნდამენტური პრინციპი, საპროცესო შეთანხმების დადებისას. პირმა თუ არ აღიარა ბრალი, მასთან საპროცესო შეთანხმება ვერ გაფორმდება. ტერმინი „აღიარებს დანაშაულს“ მიაჩნებოდა, რომ ყველა შემთხვევაში პირს ჩადენილი აქვს დანაშაული და სახეზე არის ქმედების შემადგენლობა. გ. ჭანტურიძის საკმაოდ სწორი განმარტებით, წინამდებარე მიდგომა ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, და მის ნაცვლად იგი ტერმინს „ეთანხმება წარდგენილ ბრალდებას“ ემხრობა .³⁸

სსსკ-ს 209-ე მუხლი მიხედვით ბრალის აღიარება საპროცესო შეთანხმების იმპერატიული დანაწესია ხოლო შეთანხმების მეორე ნაწილი ალტერნატიული შემადგენლობისაა, ვინაიდან შესაძლოა შეთანხმება ზემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთზე მოხდეს.

საპროცესო შეთანხმება საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე შესაძლოა გაფორმდეს, ასეთი სულ ხუთი ეტაპია, პირველი წარდგენის სხდომა, წინასასამართლო სხდომა, საქმის განხილვა პირველი ინსტაციის სასამართლოში, სააპელაციო წარმოება და საკასაციო განხილვა, თუმცა საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ყველაზე მეტად პირველი წარდგენის სხდომაზე გამოიყენება.³⁹ სხვა თავში მიმოხილული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც აქტიურად მტკიცდება.

³⁷ ვ. დოლიძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში - გამოწვევები და ტენდეციები, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N-3, თბ., 2018, გვ.52.

³⁸ გ. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბ., 2007, გვ.57

³⁹ დაწ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, რედ. გ.გიორგაძე, თბ.,2015,გვ.632

თავი III . დაზარალებულის პროცესუალურ - სამართლებრივი როლი

3.1 დაზარალებულის ცნების ზოგადი დახასიათება

დაზარალებული სისხლის სამართლის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის არის სუბიექტი, რომლის გამოც რეალურად ხდება სისხლის სამართლებრივი პასუხისგებლობის დაკისრება ამა თუ იმ პირისათვის. კრიმინოლოგთა ნაწილის მიხედვით „არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე“. დანაშაულებრივი ქმედებით ვიღაც ან უნდა საფრთხეში ჩავარდეს, ან დაზარალდეს, ან კიდევ განადგურდეს.⁴⁰

თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის პროცესი მოძრაობაში სწორედ დაზარალებულის გამო მოდის, თუმცა მისდა სამწუხაროდ საქმის შემდგომი მსვლელობა უკვე მის ინტერესებზე აღარ არის დამოკიდებული. სისხლის *სამართლებრივად რელევანტური ქმედება* სხვადასხვა სეგმენტებისგან შესდგება. ერთ-ერთი არის ქმედების განხორციელებით მიყენებული შედეგი. ეს შედეგი კი, ვლინდება *დაზარალებულისათვის, მსხვერპლისათვის* მიყენებულ ზიანში. ადამიანის ღირსება, ხელშეუხებლობის უფლება, საკუთრება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე ეს ის კონსტიტუციური ღირებულებებანია, რომელთა უგულებელყოფაც ერთი პირის მიერ მეორეს მიმართ ისჯება სისხლისსამართლებრივად.

ზოგადად, მსხვერპლი და დაზარალებული, ფართო ცნებაა, იურიდიულ მეცნიერებას აინტერესებს დანაშაულებრივი ურთიერთობის მსხვერპლი, უბედური შემთხვევისა და ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლი, (victim) სცდება იურიდიული აზროვნების არეალს. დამნაშავესა და დანაშაულის მსხვერპლს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, როგორც სუბიექტს და ობიექტს. დამნაშავე ცდილობს მსხვერპლი თავისი დანაშაულის ობიექტად აქციოს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დამნაშავეა ის ვინც მსხვერპლს ზარალი, ზიანი მიაყენა, ხოლო მსხვერპლია ის ვინც ზარალი, ზიანი განიცადა.⁴¹ გარკვეულწილად მსხვერპლთან ამგვარი ურთიერთობა *საპროცესო შეთანხმების გაფორმების* შემდგომაც გრძელდება. დამნაშავე დაზარალებულთან გამარჯვებულ მდგომარეობაში გამოდის, როდესაც მასთან საპროცესო შეთანხმება იდება და პასუხისგებლობას იმსუბუქებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლი გვაძლევს დაზარალებულის ცნების ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმადაც „დაზარალებული შესაძლოა იყოს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად“. დანაშაულებრივი ხელყოფის ყველაზე დიდი მსხვერპლი მაინც ფიზიკური პირია, რადგან ის სახელმწიფოსა და იურიდიული პირისაგან განსხვავებით უშუალოდ საკუთარ თავზე იღებს იმ ტკივილს, რომელსაც ახორციელებს პოტენციური დამნაშავე.

⁴⁰ მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია- მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ.,2011, გვ.15

⁴¹ მ. შალიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.13-14

მსხვერპლად, დაზარალებულად პირი შესაძლოა გახდეს არა მარტო დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად, არამედ პირზე არაპირდაპირი ზემოქმედების დროსაც. მაგალითად, მსხვერპლი შესაძლოა გახდეს ადამიანი ჩვეულებრივი დანაშაულის დროს, როდესაც მის ჯანმრთელობას შეუქმნეს საფრთხე, ღირსებას და ა.შ.შ, ასევე მაშინაც, როდესაც ახლობელ ადამიანს მიაყენეს კონკრეტული სახის, უშუალო ზიანი.⁴² ვერ გავიზიარებთ ა. მახარაძის აზრს იმ ნაწილში, რომ „დაზარალებულის წარმომადგენლები არ შეიძლება ჩაითვალოს და ცნობილ იქნენ დაზარალებულებად, ვინაიდან დანაშაულებრივი ხელყოფა არ არის მიმართული უშუალოდ მათ წინააღმდეგ და არ განუცდიათ ტკივილი“.⁴³

მ.შალიკაშვილის განმარტებით „დანაშაულის მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვინც დანაშაულისაგან ზიანი, ზარალი განიცადა, მიუხედავად იმისა ეკუთვნოდა თუ არა მას დაზარალებული სამართლებრივი სიკეთე.“⁴⁴ მთავარი ამ შემთხვევაში არის ის ფაქტი, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიღებული ზიანი პირდაპირ თუ ირიბად ახდენს გავლენას გარეშე პირზე, რომელსაც კანონმდებლობა შესაძლოა დაზარალებულად არც კი მოიაზრებდეს.

დაზარალებული თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრალური ფიგურაა, ობიექტური გარემოებით, დაზარალებული ყოველთვის იქნება სისხლისამართლებრივი უმართლობის მნიშვნელოვანი რგოლი, ვინაიდან ის არის დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი არსებით ნაწილი, რადგან ხელყოფა სწორედ დაზარალებულის მიმართ არის მიმართული. ის ყოველთვის იქნება კონფლიქტის მეორე მხარე, ბრალდებულთან ერთად, რომლისთვისაც სამართლიანობა სწორედ ამ უკანასკნელმა დაარღვია.

3.2 დაზარალებულის პროცესუალური როლი 1998 წლის 20 თებერვლისა და მოქმედი სისხლის საპროცესო კოდექსების მიხედვით

დაზარალებულმა საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ტრანსფორმაციის საკმაოდ გრძელ გზა გაიარა, ადრეული ფორმაციის სისხლის სამართლის პროცესი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა მას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს დაზარალებულის ინტერესების დაცვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესიც. დაზარალებულად ისინიც თვლიდნენ პირს რომელმაც დანაშაულის შედეგად **მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიიღო.**⁴⁵ დაზარალებულის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. წინამდებარე კოდექსი, რომელიც კონტინენტური სამართლის

⁴² შენიშვნა : ტერმინ „უშუალოსთან“ დაკავშირებით, იხ, გ. მეფარიშვილი, „ცხოვრება და კანონი“ თბ., 2008, გვ.133-134

⁴³ ა. მახარაძე, ზიანის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N-1, თბ.,2009, გვ.69

⁴⁴ მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია- მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ.,2011,გვ.14

⁴⁵ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ.,1963, გვ.120

პრინციპებს განამტკიცდება, საჯარო სისხლისამართლებრივ დევნასთან ერთად სუბსიადიურ, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისამართლებრივი დევნის წარმოებასაც ითვალისწინებდა. სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად, დაზარალებულის ინტერესებისა და უფლებების დაცვაც წარმოადგენდა. მაგალითად, ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა კერძო ბრალდების საქმეებს („ცემა“, „ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება“) მათზე სისხლისამართლებრივი საქმის აღძვრა ხდებოდა დაზარალებულის საჩივრით, და ხშირად დავა წყდებოდა ბრალდებულთან შერიგების შემთხვევაში.⁴⁶

რაც შეეხება ზიანის ცნებას, 1998 წლის კოდექსი განსაზღვრავდა საკმაოდ ლაკონურად, ნორმის განმარტებით ზიანი ეს იყო „უშუალო ზიანი“ და „ანაცდენი სარგებელი“, თანამედროვე გაგებით კანონმდებელი მიუღებელ შემოსავალში ანაცდენ სარგებელს გულისხმობდა.⁴⁷

ზიანის ცნება საბჭოთა სამართალშიც იყო განსაზღვრული, მათი განმარტებით ფიზიკური ზიანი, გამოიხატებოდა **დაზარალებულის სხეულის დაზიანებაში, ქონებრივი ზიანი- ამა თუ იმ ფორმით მატერიალური გამორჩენის მოსპობაში, ხოლო მორალური ზიანი გამოიხატებოდა დაზარალებულის სახელის გატეხაში.**⁴⁸

ზიანის ანაზღაურების თავისებურება იყო სამოქალაქო სარჩელის წარდგენა სისხლის სამართლის საქმეში, უ.ზაქაშვილის განმარტებით სამოქალაქო სარჩელს სისხლის სამართალში აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია მისი საშუალებით „ყალიბდება რწმენა რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება არის გარდაუვალი და განუყოფელი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან“.⁴⁹

ქონებრივი ზიანი ანაზღაურდებოდა სრული მოცულობით, პირდაპირი ზიანისა და ანაცდენი სარგებლის სახით, საშუალო საბაზრო ფასის გამოყენებით. მორალური ხარჯები მიუხედავად მისი არაქონებრივი ხასიათისა ექვემდებარებოდა ანაზღაურებას ქონებრივი პარამეტრების ფარგლებში. სამოქალაქო სარჩელს განიხილავდა და წყვეტდა სასამართლო, რომლის განსჯადიც იყო სისხლის სამართლის საქმე.⁵⁰

სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში ერთგვარად საინტერესო ინსტიტუტი იყო, რომლსაც ერთი შეხედვით დაზარალებულის უფლებების დაცვის საკმაოდ წონადი ელფერი დაჰკრავდა. სწორად შენიშნავდა დ. კარიაული, რომ დაზარალებულის სტატუსს და მის უფლებრივ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას“. ⁵¹ თუმცა,

⁴⁶ ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2016, გვ. 6 აგრეთვე : კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების შესახებ, იხ. ლ. ფაფიაშვილი წიგნში, სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), რედ. რ. გოგშელიძე, თბ., 2008, გვ. 328-329

⁴⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის რედაქცია, მუხლი „44“

⁴⁸ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 1963, გვ. 120

⁴⁹ უ.ზაქაშვილი, სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N-3, თბ., 2007, გვ. 82

⁵⁰ დაწ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის რედაქცია, 30-ე და შემდგომი მუხლები.

⁵¹ დ.კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N-2, თბ., 2013, გვ. 139

საპროცესო შეთანხმების დადების დროს დაზარალებულს არც მაშინ ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ახლმა საპროცესო კოდექსმა კი მთლიანად შეცვალა დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის არეალი, და პროცესის აქტიური მხარის როლიდან პროცესის უბრალო მონაწილის როლამდე დაიყვანა აღნიშნული **გამოხატულებას თავისთავად საპროცესო შეთანხმების დროსაც პოვებს. თუმცა,** არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ინკვიზიციურობის პრინციპიდან **შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის შემოღება, როდი ნიშნავს დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვის ლეგიტიმურობას.**

დაზარალებულს ამჟამინდელი გაგებით, გააჩნია მხოლოდ ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღების ფართო უფლებამოსილებანი, შესაბამისად აღარ გააჩნია ძველი საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მრავალი გასაჩივრებისა და პროცესის მსვლელეობაში ჩარევის უფლება. დღევანდელი კოდექსი უკვე აღარ იცნობს, ძველი კოდექსისათვის კარგად ცნობად სამოქალაქო მოპასუხისა და სამოქალაქო მოსარჩელის ცნებებს.⁵² პირად შურისძიებას მხარს არ უნდა უჭერდეს სისხლის სამართალი, აღნიშნული საერთაშორისო დონეზეც დაგმობილია,⁵³ თუმცა მისი (დაზარალებულის) **ინტერესების რეალიზების ქმედითი ინსტრუმენტები** სისხლის სამართალშიც უნდა არსებობდეს მათ შორის **საპროცესო შეთანხმების დადების დროსაც.**

პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მხოლოდ ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. “მსხვერპლს აქვს უფლება ერთგვარად, მოითხოვოს, რომ დამნაშავე მიეცეს სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში და დაისაჯოს ბრალის დადასტურების შემთხვევაში”.⁵⁴ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი დაზარალებული მოწმესთან არის გაიგივებული.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მატერიალური და ფორმალური წინაპირობების არსებობა. მატერიალურ წინაპირობას უკავშირდება ის ფაქტი, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა მიადგეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. ფორმალურ სეგმენტს კი სწორედ უკავშირდება დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა, საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, დადგენილების გამოტანის სახით. პირის დაზარალებულად ცნობა ხდება გამოძიების სტადიაზე.⁵⁵ მართალია, დაზარალებული მოწმეს წააგავს თავის მდგომარეობით თუმცა, მოწმისგან განსხვავებით, გარკვეული ტიპის უფლებანი გააჩნია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რა თქმა უნდა.

ფორმალურად დაზარალებულის ხელახალი, მეორეული ვიქტიმირებისაგან თავის ასაცილებლად კანონმდებლობა ითვალისწინებს მის დამცავ მექანიზმებს, როდესაც შესაძლოა საფრთხე მიადგეს თავად მას, ასევე მის ახლო ნათესავს და

⁵² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ., გ.გიორგაძე, თბ.,2015, გვ.36

⁵³ შ.ტრეესელი, ს.ჯ. სამერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, (ნაწილი პირველი,) თბ.,2009, გვ.59

⁵⁴ შ.ტრეესელი, დასახ. ნაშრომი, გვ.60

⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ., გ.გიორგაძე, თბ.,2015,გვ. 219,

ოჯახის წევრს.⁵⁶ სამწუხაროდ, ხელახალი, მეორეული ვიქტიმირების საფრთხე არსებობს, საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროსაც.

საინტერესო მიდგომა იყო დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით, მოწმისა და დაზარალებულის კორდინატორის შემოღება, რომელსაც პროცესში კონკრეტული მიზანი გააჩნია და ეს არის სწორედ დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მისი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. პროკურორი მოწმისა და დაზარალებულის კორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანშეწონილობის საკითხს იხილავს საქმის სასამართლოში გაგზავნამდე.⁵⁷

ამგვარი არის, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.

3.3 საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსის შესახებ

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაზრდის ტენდენციები შეინიშნება საერთაშორისო აქტებსა და დირექტივებში. თამამად შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ის კვაზი უპირატესობანი რაც დაზარალებულს გააჩნია მათ შორის საპროცესო შეთანხმების დადების ეტაპზე სწორედ საერთაშორისო მიდგომების გამოხატულებაა. ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაზარალებულის უფლებების დაცვას უკვამირდებოდა გახლდათ გაეროს 1985 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია „დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“.⁵⁸ ეს არცთუ ისე მომცრო ტიპის მქონე დოკუმენტი, საკმაოდ საინტერესო დათქმებს შეიცავდა მსხვერპლთა ინტერესის დაცვის თვალსაზრისით. დეკლარაციაში ასახული იყო დანაშაულის მსხვერპლის ცნება, ე. წ. ფართო განმარტება, რომლის მიხედვითაც დანაშაული ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ იწვევს როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ისე მისი ახლობლების დაზიანებას და ფსიქოლოგიურ ტრავმას.⁵⁹ დეკლარაცია ერთმანეთისგან ასხვავებს ემოციურ, მორალურ, ფიზიკურ ზიანს. მსხვერპლის მიმართ იყენებს ტერმინს „ემოციურ ტანჯვას“, ფიზიკურ და ფსიქიკურ დაზიანებას.⁶⁰

დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობის გაზრდას ეხმიანება კიდევ ერთი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც 1985 წელის 28 ივლისს არის მიღებული ევრო საბჭოს მიერ. ე. წ. R (85) რეკომენდაცია „სისხლის სამართლისა და

⁵⁶ დაწ. გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2014, გვ. 180-181

⁵⁷ ე. კავთუაშვილი, მოწმისა და დაზარალებულის კორდინატორი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურ. „სამართალი და მსოფლიო“, N-10, თბ., 2018, გვ. 72-73

⁵⁸ იხ. „Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power“, General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985,

⁵⁹ ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლი სამართლის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N-2, თბ., 2013, გვ. 120

⁶⁰ J.A. Wemmers; M maniki, Restitution in the context of criminal justice, Research in Brief, Canada, 2017, p.2

სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“. მის მიხედვით დისკრეციული სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება, მას მერე უნდა იქნას მიღებული, რაც განხილული იქნება დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურების საკითხი.⁶¹

2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა „დანაშაულის მსხვერპლის უფლებებისა, მათი მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების“ შესახებ დირექტივა, რომელიც ევროპის მამულებით უნივერსალურ ხასიათს ატარებს.⁶² 2012/29/EU დირექტივამ დანაშაულის მსხვერპლთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიდგომები დაამკვიდრა. დირექტივაში მსხვერპლის ცნება გაფართოებული სახით არის წარმოდგენილი. ის დანაშაულის მსხვერპლის ცნებაში მოიაზრებს, როგორც პირდაპირ ისე არაპირდაპირ მსხვერპლს, რომელსაც შესაძლოა მიადგეს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სულიერი ტკივილი ან ეკონომიკური დანაკარგი. გასათვალისწინებელია, რომ დირექტივა მოქმედებს ფიზიკურ პირებზე და ის არ მოქმედებს იურიდიულ პირებზე.⁶³ დირექტივა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს პრინციპს უფლება „გესმოდეს და გააგებინო“-ს (**Right to understand and to be understood**). საპროცესო შეთანხმების დადების შეტყობინების ვალდებულებაც შესაბამისად ამ პრინციპს ეფუძნება.⁶⁴ მნიშვნელოვანია კომპენსაციის უფლებაც, რომელსაც ითვალისწინებს დირექტივა, მსხვერპლს აქვს უფლება დანაშაულის შედგად მიღებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, სახელმწიფო კი ვალდებულია აღნიშნული განსახორციელებლად ეფექტური საშუალებები დანერგოს.

დირექტივა სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ დანაშაულის მსხვერპლი დაიცვან დამნაშავისაგან, და გათვალისწინებული იყოს როგორც მსხვერპლის ისე ქმედების ინდივიდუალური მახასიათებლები. *ასეთი მიდგომა სასურველი იქნება თუ საპროცესო შეთანხმების დროსაც იმპერატიულ სახეს მიიღებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ვინაიდან საპროცესო შეთანხმებამ შესაძლოა მსხვერპლის უსაფრთხოებაზე ცუდად იმოქმედოს.* არის მოწყვლადი კატეგორიები, სადაც უფრო მაღალია დაზარალებულის ხელმეორე ვიქტიმზაციის საფრთხე, განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში.

⁶¹ ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N-2,თბ.,2013, გვ. 121-122

⁶² იხ. “Directive 2012/29/EU of European Parliament and of The Council of 25 October 2012“ , აგრეთვე, ხ. თანდილაშვილი, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, N-2 თბ.,2017, გვ.51

⁶³ იხ. Directive 2012/29/EU of European Parliament and of The Council of 25 October 2012, article „2“

⁶⁴ ხ. თანდილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.54.

თავი IV. დაზარალებულის უფლებამოსილება საპროცესო შეთანხმების დადებისას

4.1 დაზარალებულის სამართლებრივი როლი საპროცესო შეთანხმებისას

დაზარალებულის მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა მიმართულებით არის საინტერესო და ერთ-ერთი სწორედ საპროცესო შეთანხმების ასპექტია. საქართველოს კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების დამკვიდრების 15 წლიანი არსებობის მანძილზე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა არასდროს არ ყოფილა არსებითი და საპროცესო შეთანხმებაზე რაიმე ზეგავლენის მომხდენი. უფრო მეტიც, საპროცესო შეთანხმების თავდაპირველი ვარიანტი კოლიზიურ უხერხულობას ქმნიდა იმ თვალსაზრისით, რომ დაზარალებულს პროცესის მხარის სტატუსი გააჩნდა და მას საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობა შეზღუდული ჰქონდა. საპროცესო შეთანხმების ნეგატიურ მხარედ მიაჩნდა გ. მეფარიშვილსაც ის ფაქტი რომ დაზარალებულს აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით ძალზე ცოტა რამეს ეკითხებოდნენ.⁶⁵

საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინების არანაირი ვალდებულება პირდაპირი გაგებით არ არსებობს და გარკვეულწილად არც ახლა არსებობს, ნახსენები გარემოება კი შესაძლებელია საპროცესო შეთანხმების ნეგატიურ გარემოებად ჩაითვალოს. შეტყობინება, რომ იდება ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება დაზარალებულისათვის არანაირი სამართლებრივი შედეგის მომტანი არ არის. დაზარალებულის მორალური და ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება უკვე სხვა გზით უწევს და ეს სამოქალაქო ტიპის წარმოებაა. საპროცესო შეთანხმების დროს გვყავს პირი, რომელმაც ვერ მიიღო რეალური მხარდაჭერა სამართლიანი სასამართლოს კონტექსტში, ვინაიდან ბრალდებულს უფრო მსუბუქი სასჯელი დაეკისრა ვიდრე იმსახურებდა, ამასთანავე ზიანის ანზღაურების საკითხიც წმინდა სამოქალაქო ტიპის წარმოებას ეკისრება, თავისი სარჩელითა და შესაგებლით. მართალია, სამოქალაქო წარმოებისათვის პრეიდუციული ძალა გააჩნია სისხლის სამართლის განაჩენს, თუმცა იგი ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის პრეიდუციული ეფექტის მქონე მოცემულობას არ წარმოადგენს.

სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება, რომელსაც ერთხმად აღიარებდა პრინციპის დონეზე 1998 წლის საპროცესო კოდექსი,⁶⁶ გარკვეულწილად თავიდანვე დაზარალებულის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რადგან იმდროისათვის პროცესის მონაწილე მხარე საპროცესო შეთანხმებისგან დისტანცირებულ სუბიექტს წარმოადგენდა. კოდექსის 679⁸-ე მუხლი უბრალო ფორმალური დანაწესი იყო, სადაც კანონის დონეზე დადგენილი იყო საპროცესო შეთანხმების შეტყობინების

⁶⁵ გ.მეფარიშვილი, „მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკის ქართული ვარიანტის ზოგიერთი ასპექტი“, სამართლის პუბლიცისტიკა თბ., 2014, გვ. 34.

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის რედაქცია, მუხლი „151“

ვალდებულება და ის ფაქტი, რომ მას აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება. მართებულად მიაჩნდა პრობლემად დაზარალებულის შეზღუდული საპროცესო როლი თავის ნაშრომში გ. ჭანტურიძესაც.⁶⁷

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით საპროცესო შეთანხმებას არც შემდგომში განუცდია დიდი ცვლილებანი (კონსულტირების წესის დამატებას თუ არ ჩავთვლით), არადა დაზარალებულის ინტერესების დაცვა ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების გაფორმების. სწორედ აღნიშნავს მეცნიერთა ნაწილი, რომ საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებით დაზარალებულს „უფლებაუნარიანობა“ არ გააჩნია, იმ კუთხით რომ ამ უკანასკნელს მასზე ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ აქვს.⁶⁸

დაზარალებული საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი აუცილებელი სუბიექტი უნდა იყოს და მასთან უნდა ხდებოდეს აღნიშნული ინსტუტის გამოყენების მიზნობრიობის დასაბუთება, რომ რაიმე უკმაყოფილობის გრძნობა არ დარჩეს მას ობიექტური სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. უნდა მოხდეს ერთგვარად შუალედური რგოლის არჩევა და ინტერესთა დაბალანსება.

პროკურორი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის დამცველი უფრო მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს საპროცესო შეთანხმების გამოყენების მიზნობრიობას, განსაკუთრებით იმის ფონზე რომ მისი გამოყენება ყველა კატეგორიის დანაშაულზეა შესაძლებელი. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების სულპირვანდელ ვერსიას გარკვეულწილად ერთი დადებით მხარე ჰქონდა. *სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში* დაზარალებულის მდგომარეობა და მისი კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილება მხედველობაში მიიღებოდა, თუმცა 2005 წლის 25 მარტის ცვლილებებით, ეს გარემოება კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა.⁶⁹

საპროცესო შეთანხმების დადებას სამგვარი მიმართება აქვს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან. პირველი ის გახლავთ რომ პროცესის მონაწილე მხარე მას ვერ ასაჩივრებს და ზემოქმედების საკანონმდებლო ბერკეტი არ არსებობს. მეორეს მხრივ საპროცესო შეთანხმება ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ქმედითობას და სამართლიანობის აღდგენას, მესამე კი გახლავთ დაზარალებულის *თანხმობის არ არსებობა*.⁷⁰

მომრიგებლური სისხლის სამართლის პოლიტიკა კარგია, თუმცა ის უნდა იყოს მორგებული დაზარალებულის ინტერესებზეც. მსხვერპლის ტკივილის დავიწყება ხშირ შემთხვევაში არ არის გამართლებული. საინტერესო მითითებას აკეთებს შ. ტრექსელი რომ „სახელმწიფოს მცდელობა გამოიყენოს დანაშაულის კონტროლის მექანიზმები და შეამციროს სისხლის სამართალწარმოების ფინანსური ხარჯები

⁶⁷ გ.ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბ.,2007, გვ.59

⁶⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ზ. მეიშვილისა, და ო. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბ.,2007, გვ.940,

⁶⁹ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში“, თბ, 2012,გვ.10

⁷⁰ დაწ. რ. გოგუელიძე წიგნში, სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თბ.,2008, გვ.381

სრულიად ლეგიტიმურია“, ⁷¹ თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მსხვერპლის ინტერესის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ორიენტირებულია სამართლიანობის აღდგენაზე და შესაბამისად ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში სწორად და ეფექტურად უნდა წარიმართოს.

4.2 საპროცესო შეთანხმება და პროკურორის მიერ დაზარალებულის ინტერესების შეზღუდული დაცვა

პროკურორი საპროცესო შეთანხმების ცენტრალური ფიგურაა, შესაბამისად სსსკ-ის 210-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ის ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულის და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, **დანაშაულის ხასიათის**, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლეობის, გამოძიებასთან თანამშრომლობის და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. ⁷²

პირის მიერ დანაშაულის აღიარება და რელიგანტური მტკიცებულების არსებობა მთელ რიგ დანაშაულებში არ უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკმარის წინაპირობა. დანაშაულის აღიარებამ შეიძლება გამოიწვიოს, ის რომ დაზარალებულის რეალური განცდა წინააღმდეგობაში მოვიდეს სასამართლოს და პროკურატურის პოზიციასთან, იმ კუთხით რომ ეს უკანასკნელნი ბრალდებულს, აღიარების სანაცვლოდ პასუხისგებლობას უმსუბუქებენ, შესაბამისად ყველა საპროცესო გარიგება არ არის სამართლიანი დაზარალებულის ინტერესთან მიმართებაში.⁷³

საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორის როლი უმნიშვნელოვანესია, და ის არის მთავარი მოქმედი პირი აღნიშნული ინსტიტუტის, სწორედ მისი ამგვარი როლი კი ხშირად პრობლემად მიაჩნიათ. ვინაიდან, პროკურორს ერთგვარად საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას უზურპირებული აქვს სასამართლო ხელისუფლების გარკვეული ნაწილი. პროკურორი განსაზღვრავს ბრალეულობის ხარისხს, ინდივიდუალურად აფასებს ბრალდებულს, მის მართლწინააღმდეგობას, და რაც მთავარია განსაზღვრავს სასჯელის სახეს და მის

⁷¹ შ.ტერექსელი,ს.ჯ. სამერსის დახმარებით ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ნაწილი პირველი, თბ.,2009, გვ.30

⁷² საკითხის გაღრმავებისთვის: პ. კობალაძე, „პროკურორი როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი“, თბ.,2018, გვ.91,

⁷³ Mike McCononville & Geoffrey Wilson, The Handbook of The Criminal Justice Process, Oxford university Press, 2002, p.373.

ოდენობას. პროკურორი რამდენად ეყრდნობა სახელმძღვანელო პრინციპებს, ⁷⁴ საპროცესო შეთანხმების დადების დროს ძნელი სათქმელია, ფაქტობრივად მასობრავად ხდება საპროცესო შეთანხმების გამოყენება მთელ რიგ დანაშაულებზე. მათ შორის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზეც. აღნიშნული ფაქტი კი პირდაპირ მინიშნებს რომ **დაზარალებულის ინტერეს პროკურორისათვის** საკმაოდ დაბალი ხარისხის მნიშვნელობა აქვს. პროკურორს, სამწუხაროდ, კანონი აძლევს შესაძლებლობას ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე იშუამდგომლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად სასამართლოში. თუმცა, მანამდე ის რამდენიმე პროცედურას გადის. ერთ-ერთი მათგანია კონსულტაცია.

დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის სავალდებულობა 2010 წელს დაკანონდა, როდესაც ძალში შევიდა ახლი საპროცესო კოდექსი. სწორედ ამ კოდექსმა დაუდო საფუძველი დაზარალებულის უფლებების შეკვეცას, და მის პროცესის მონაწილის სტატუსით დამკვიდრებას.

პროკურორები გარკვეულწილად უფრო მეტი ინტერესს უნდა იჩენდნენ დაზარალებულის მდგომარეობისადმი, იუსტიციის მინისტრის სახელმძღვანელო დებულებები მათ ამის ვალდებულებასაც აკისრებს, სხვა მოვალეობებთან ერთად. ზოგიერთი მეცნიერის განმარტებით, “საპროცესო შეთანხმების გამჭირვალობის ნაკლებობა ხელს უშლის პროცესის ლეგიტიმურობას მათ შორის დაზარალებულის თვალში”.⁷⁵

ზოგადად პროკურორის დაზარალებულთან კონსულტირებას აქვს **ფორმალურ სამართლებრივი დატვირთვა, და რეალურად არანაირი შედეგის მომტანი არ არის.** პროკურორი უბრალოდ განუმარტავს მსხვერპლს, რომ აპირებს საპროცესო შეთანხმების დადებას, რომც იყოს დაზარალებული აღნიშნულის წინააღმდეგი, ბრალდების მხარეს მისი პოზიციის გათვალისწინების ვალდებულება არ აქვს. 2013 წელს შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, რომლის განმარტებითი ბარათი პირდაპირ მიუთითებდა, რომ თუ პროკურორი კონსულტაციის შედეგად დაზარალებულის სამართლიან და კანონიერ ინტერესებს არ გაითვალისწინებდა, ან ამ უკანასკნელისათვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით უსამართლო სასჯელს მოითხოვდა საპროცესო შეთანხმებით, დაზარალებულს ამის რაიმე ფორმით გასაჩივრების უფლება არ უნდა ჰქონოდა. ⁷⁶ ცხადია, ასეთი მიდგომა დაზარალებულის ინტერესების შეზღუდვის გამომწვევი გარემოება არის განსაკუთრებით ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევებში. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაზრდაზე კანონმდებელი განმარტებით ბართშიც უთითებდა თუმცა, რეალურად ნორმატიულ დონეზე მხოლოდ კუნსულტაციის პროცედურის უცვლელად დატოვება დამკვიდრდა, როგორც ადრე იყო და დაზარალებულს დამატებით წერილობითი განმარტების მიცემის შესაძლებლობა მიეცა სასამართლო პროცესზე.

⁷⁴ დაწ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181 2010 წლის 8 ოქტომბერი ქ. თბილისი, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“ ბოლოს ნაწილი: (18.05.2019)

⁷⁵ Jenia I. Turner. “Plea bargaining”, law article N-2, University Dedman School of Law, texas, 2017,p.76-77

⁷⁶ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ „განმარტებითი ბარათი“, N-/13, თბ.,2013, § -11 www.info.parliament.ge ბოლოს ნაწილი: (20.05.2019)

კანონმდებელი გაუმართლებლად მიიჩნევს დაზარალებულისათვის ვეტოს უფლების მინიჭებას საპროცესო შეთანხმებისას, მეორე მხრივ მხარს უჭერს დაზარალებულისათვის სამართლიანობის აღდგენს, რაც გარკვეულწილად ერთმანეთს გამორიცხავს. დაზარალებულთან კონსულტაცია მხოლოდ ფორმალური ეფექტის მატარებელია, ის უფრო კანონის ფორმალურ დაცვას ემსახურება ვიდრე დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებას. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ საჯარო ინფორმაციის გზით გამოთხოვილ არცერთ განაჩენში დაზარალებულის ინტერესებზე საუბარი არ არის. ზოგადად, კონსულტაციის ფაქტს ნეგატიურად აფასებენ უცხოელი იურისტებიც, მათი განმარტებით კონსულტაცია, რომელსაც ყოველთვის გადის პროკურორი დაზარალებულთან, ნამდვილად არ ნიშნავს იმას რომ დაზარალებული ჩართულია მოლაპარაკების პროცესში, ან აქვს რაიმე კონტროლი პროცესზე.⁷⁷

საქართველოში ზოგ მეცნიერს, დაზარალებულის ინტერესის გამოსახატად საკმარისად მიჩნიათ ის ფაქტი რომ პროკურორი ხვდება მსხვერპლს და მასთან გადის კონსულტაციას, აღნიშნული მათ დადებით ფსიქოლოგიურ ეფექტად მიაჩნიათ.⁷⁸ ამგვარ მიდგომას ავითარებს თავის ნაშრომში პ.მონიავა.⁷⁹ ცხადია, ზემოთ ნახსენები საკმარისი ნამდვილად არაა, ვინაიდან მას რეალური შედეგი არ მოყვება, კანონის დონეზე კონსულტაციას არანაირი შედეგი არ უკავშირდება. კონსულტირების დებულება საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებითაც ბუნდოვანია, რადგან არ არის დაკონკრეტებული რა მიზნით უნდა ჩაუტაროს პროკურორმა კონსულტაცია დაზარალებულს, ან რა შედეგი მოყვება მას, თანაც იმის ფონზე, რომ „საჯარო ინტერესის დამცველად მხოლოდ საპროკურო დისკრეციის გონივრული გამოყენებაა მოიაზრება საპროცესო კოდექსით“.⁸⁰

კონსულტირების მიზანი, უმჯობესი იქნება იყოს, დაზარალებულისათვის სასურველი პირობის დადგენა საპროცესო შეთანხმებაში. მხოლოდ, ასეთი მიდგომით არის შესაძლებელი ინტერესთა დაბალანსება და გარკვეული კონსესუსის მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსსკ-ის 217 მუხლს კვლავ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის **უბრალო რეკვიზიტის ფუნქცია ექნება**. კონსულტაცია, რომ პროკურორი აპირებს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, და შემდგომში შეტყობინება იმის რომ დაიდო მართლაც საპროცესო შეთანხმება, არანაირი ინტერესის დაცვის გამოხატულება არ არის დაზარალებულისათვის, თუ შეთანხმებაში მისი მოსაზრების გათვალისწინება არ განხორციელდება. ვერ გავიზიარებთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარში გამოთქმულ მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულის ინტერეს დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის, ვინაიდან პრაქტიკა საწინააღმდეგოს მიანიშნებს, თანაც კომენტარში თავადვე

⁷⁷ J. Messitte, plea bargaining in various criminal Justice systems Montevideo, Uruguay, 2010, p.5

⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი),ჯ.გახოვიძის, მ.მამნიაშვილის, და გ.გაბისონიას რედაქტორობით, თბ.,2012,გვ. 244

⁷⁹ პ.მონიავა, საპროკურორო სამართალი, თბ.,2015, გვ.121.

⁸⁰ კოალიცია დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის, საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში, თბ., 2012,გვ.9

აღნიშნული რომ დაზარალებულის უარი, სამართლებრივად არ არის საპროცესო შეთანხმების გაფორმების დამაბრკოლებელი გარემოება.⁸¹

გასაზიარებელია მეცნიერთა ნაწილის აზრი, იმ საკითხთან მიმართებით, რომ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის წესი საკანონმდებლო დონეზე დახვეწას საჭიროებს, უნდა განისაზღვროს რა სამართლებრივი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს კონსულტირებას. დაზარალებულის ნეგატიური გავლენა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ნორმატიულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს.⁸² ამგვარი დათქმა ნამდვილად არ გამოიწვევს საპროცესო შეთანხმების გამოყენების შეზღუდვას, პირიქით აღნიშნული ბიძგს მისცემს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ შუალედური რგოლის არჩევას, სხვადასხვა ინტერესებს შორის და ეს იქნება ასევე პრევენციული ბერკეტი, რომ არ მოხდეს პროკურორის მხრიდან საპროცესო შეთანხმების არამიზნობრივად გამოყენება.

დაზარალებულის უფლებების რეალიზების ქმედითობაზე მიუთითებდა ი. ჩხეიძე, მისი აზრით, დაზარალებულთან კონსულტაცია და მისი ინფორმირებულობის სტანდარტი საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ „*იურიდიულ ფიქციას წარმოადგენს*“ და სხვას არაფერს.⁸³ დაზარალებული, როდია მხოლოდ უბრალო პროცესის მონაწილე, ის არის სისხლის სამართლებრივი უმართლობის ცენტრალური ფიგურა, და არ შეიძლება დაზარალებული იყოს მიზნის მიღწევის უბრალო საშუალება. კ. ჩიხლაძის განმარტებით, „კონსულტაცია უბრალოდ მოთათბირებას ნიშნავს“, სადაც დაზარალებულს არანაირი უფლებები არ გააჩნია კანონის დანაწესით, და საკანონმდებლო ხარვეზი სწორედ აღნიშნულში მდგომარეობს.⁸⁴ ამერიკის შერთებულ შტატებში პროკურორები ვალდებული არიან გაიარონ „კონსულტაცია“ (consult) ან „მოითათბირონ“ (confer) დაზარალებულთან საპროცესო შეთანხმების მოლაპარაკების დაწყების თაობაზე, გარკვეულწილად შეათანხმონ მასთან საპროცესო შეთანხმების დადება.

საინტერესოა, რომ ამერიკელები კონსულტაციის დროს დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ ზიანის ანაზღაურების საკითხს. თუმცა სხვადასხვა შტატში განსხვავებული მიდგომა არსებობს. მაგალითად, ოკლაჰომასა და კანზასში კონსულტაცია მხოლოდ შეტყობინებაში შემოიფარგლება, ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე. ჩრდილოეთ დაკოტასა და ნებრასკაში კი დაზარალებულთან კონსულტაციას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.⁸⁵

მართებულად შენიშნავს ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერი თავის ნაშრომში, რომ მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების შეტყობინება და მის დამტკიცებაზე დასწრების უფლება, უმნიშვნელო უფლებებია დაზარალებულისათვის, ორივე

⁸¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბ., 2015, გვ.648

⁸² დაწ. საქართველოს სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, თბ., 2017, გვ.558

⁸³ ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N- 2, თბ., 2013, გვ.123

⁸⁴ კ. ჩიხლაძე, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ“ სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2014, გვ.105

⁸⁵ დ. მანაგაძე, დაზარალებულის სტატუსი და პროცესუალური მდგომარეობა საპროცესო შეთანხმების დადებისას, ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, N-1 თბ., 2012, გვ.99

უფლების დროს მსხვერპლი რჩება მაცურებლის როლში და მას არ აქვს ბერკეტი საპროცესო შეთანხმებაზე რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს.⁸⁶

საბოლოოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქართულ სამართლებრივ მიდგომაში დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, კონსულტაცია არ უზრუნველყოფს დაზარალებულის სამართლებრივად რელევანტური ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

4.3 საპროცესო შეთანხმების პირობები და დაზარალებულის ინტერესი

საპროცესო შეთანხმების პირობა, რომელსაც ზემოთ ზოგადი სახით უკვე შევეხეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე შესაძლოა იყოს სასჯელი, უფრო კონკრეტულად სასჯელის სახე ან კიდევ მისი ოდენობა. ასევე, შეთანხმების პირობა შესაძლოა იყოს ბრალდების შემსუბუქება, ან მისი ნაწილობრივ მოხსნა. სწორედ, ეს ფაქტორები არის რის გამოც ხშირად ბრალდებული იზღუდავს გარანტირებულ კონსტიტუციურ უფლებებს და უარს ამბობს საქმის არსებით განხილვაზე. პროკურორი კი პირობათა ამ ფართო დისკრეციით ცდილობს დაზოგოს დრო, რესურსი, და ხშირ შემთხვევაში გაიუმჯობესოს პროფესიული სტატისტიკა, და მიმართოს საპროცესო შეთანხმების გამოყენებას.

სამწუხაროდ, ამ „სტრატეგიათა ჭიდილში“ ხშირ შემთხვევაში, *უკანა პლანზე იწევს დაზარალებულის სამართლებრივად რელევანტური ინტერესი*, რომელსაც არ ძალუძს პროცესის მონაწილეთა ამ სახელშეკრულებო მოლაპარაკებაში ჩაერთოს.

საინტერესო მიდგომას ავითარებს ამერიკელი პროცესუალისტი ჰერმანი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ხშირად „დანაშაულის ბუნება თავად განაპირობებს მსხვერპლის მოძალებულ ინტერესს კონკრეტული ქმედების მიმართ,“ ეს ინტერესი კი დაცვას საჭიროებს, მიუხედავად იმის რომ მსხვერპლს არ შეუძლია საპროცესო შეთანხმების დროს დაუპირისპიდე პროკურორის დისკრეციას, მან მისი გრძნობები საპროცესო შეთანხმების პირობების დადგენის დროს უნდა გაითვალისწინოს.⁸⁷

საპროცესო შეთანხმების სამივე პირობა *ხშირ შემთხვევაში კოლიზიაში მოდის დაზარალებულის სამართლებრივ ინტერესთან*, სამივე პირობა ახდენს გავლენას სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. მართალია, ხშირად შესაძლოა ბრალდებულები იყოს საპროცესო შეთანხმების მსხვერპლი, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია, საპროცესო შეთანხმების უმთავრესი მსხვერპლი სწორედ დაზარალებულია. აღნიშნული პირობები ერთმნიშვნელოვნად ზემოქმედებს მის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

პროფესორ, თ.ლალიაშვილის განმარტებით, ბრალდებული ბრალდების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს ამბობს და იმიტომ აღიარებს დანაშაულს, რომ ის ამის სანაცვლოდ სასურველ სამართლებრივ შედეგს იღებს. ასეთ კვაზი თანამშრომლობას და აღიარებას არანაირი კავშირი არ აქვს ბრალდებულის იმ „გულრწველ

⁸⁶ Sarah N. Welling, „Victim Participation in Plea Bargains“, article-2, Washington University Press, 1987 p.304

⁸⁷ G. Nicholas Herman, Plea Bargaining, Third edition, Huntigton, New York, USA, 2012,p.6

აღიარებასთან და მონანიებასთან, რომლის მოსმენაც საზოგადოებას სურს.⁸⁸ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მეშვეობით ბრალდებულს ეძლევა სასათბურე გარემოება დანაშაულის აღიარების. ხშირად ბრალდებულის ინტერესებშიც არის საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდების მხარესთან ერთად. ისიც არის ხშირ შემთხვევაში დაინტერესებული, სწრაფად დამთავრდეს საქმის წარმოება და რეალურად არანაირ მონანიების გრძნობას მისი მხრიდან ადგილი არ აქვს.

ბრალის აღიარების შემდეგ თავისთავად საპროცესო შეთანხმების პირობა შესაძლოა იყოს სასჯელი. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ სასჯელის ზომაზე, პირს ბრალი ედება ძალადობაში, და ბრალდების მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს მისთვის მინიმალურ სასჯელზე დაბალი სასჯელის დაკისრების თაობაზე, ან კიდევ ალტერნატიული სასჯელის გამოყენება მოითხოვოს. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად შინა პატიმრობა, ან კიდევ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დაკისრება გადაწყვიტოს ბრალდებულისათვის. (პირს ინდივიდუალურად თავად აფასებს).

შესაძლოა, საპროცესო შეთანხმების პირობა იყოს ბრალდების შემსუბუქება, თავისთავად ბრალდების **შემსუბუქება დაზარალებულის** ინტერეს ეწინააღმდეგება, რადგან სისხლისამართლებრივი უმართლობის განმახორციელებელი პირი დამნაშავედ ითვლება არ იმისათვის რაც განახორციელა, არამედ უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის. აღნიშნული პირობა, საინტერესოა იმ კუთხითაც (და ამავე დროს პრობლემურიც), თუ რას აღიარებს პირი, ანუ რეალურად ბრალდებული დამნაშავედ სცნობს თავს ერთ დანაშაულში და პასუხისგებლობა მოეთხოვება სხვა დანაშაულისათვის.

პრობლემურია გარკვეულწილად ბრალდების ნაწილობრივ მოხსნის შემთხვევები, ასეთ დროს, სისხლისამართლებრივი რეაგირების გარეშე რჩება დანაშაულთაგან ერთ-ერთი, და პირს პასუხისგებლობა მხოლოდ ერთი დანაშაულის ჩადენისათვის მოეთხოვება.

ეს ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება სისხლისამართლებრივ ამოცანებს, და გარკვეულწილად რელევანტურ დანაშაულებს რეაგირების მიღმა ტოვებს. ყველა დანაშაული ინდივიდუალურია და მას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. სწორედ ამიტომ აკრიტიკებდა საპროცესო შეთანხმების დადებას, ყველა კატეგორის დანაშაულზე პროფესორი რ. გოგშელიძე.⁸⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, ძველი კანონის მსგავსად ადგენს საპროცესო შეთანხმების სავარაუდო პირობებსაც. აღნიშნული დათქმა არ არის იმპერატიული ხასიათის და შესაძლოა ბრალმდებელი გამოწვევის შემთხვევების გარდა არც კი შეუთანხმდეს ბრალდებულს ამ პირობების თაობაზე. სსსკ-ის 209-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „ საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებული პროკურორს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათავალისწინებული

⁸⁸ თ. ლალიაშვილი, საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, „სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, მ.ტურავას რედაქტორობით“თბ.2013, გვ.284

⁸⁹ დაწ. რ. გოგშელიძე საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, ჟურნალი “პროფესია ადვოკატი”,N-1, თბ.,2007წ, გვ.94

პირობებთან ერთად შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე.“ ამრიგად ზიანის ანაზღაურების პირობა და თანამშრომლობაც შეთანხმების აუცილებელი პირობა არ არის, აღნიშნული პრობლემურია დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინებით, ვინაიდან მას დამოუკიდებლად მოუწევს ზიანის ანაზღაურებისათვის ბრძოლა, როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი (არამატერიალური ზიანისათვის). აღნიშნული ფაქტორი კი კიდევ ერთი დამატებით ბარიერს შექმნა დაზარალებულის ინტერესების დასაცავად.

ამერიკაში პროკურორის მხრიდან ბრალდებულისათვის პირობების დაწესებას არ აქვს ფორმალური ხასიათი, მაგალითად, საპროცესო შეთანხმებით, როდესაც ხდება პირისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, პროკურორი ვალდებულია შეამოწმოს პირის აღსრულებაუნარიანობა, და მას შეუძლია აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი სააგენტოდან.⁹⁰

4.4 დაზარალებულის ინტერესების ასახვა საპროცესო შეთანხმების დოკუმენტებში

საპროცესო შეთანხმების პირობები, რომელშიც დაზარალებული არ ფიგურირებს რამდენიმე დოკუმენტში ჰპოვებს ასახვას. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი გახლავთ საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ განცხადება. (სურვილის ან თანხმობის). სასურველი იქნება **განცხადებაში ჩანდეს ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულთან ურთიერთობის დალაგების ან კიდევ ზიანის ანაზღაურების სურვილი, რომელიც შემდგომ რეალურ პირობად იქცევა.**

საპროცესო შეთანხმების დადებისათვის აუცილებელია მთლიანად მოლაპარაკების პროცესი ასახული იყოს დოკუმენტალურად. ამ შემთხვევაში, ასეთ ფუნქციას ასრულებს საპროცესო შეთანხმების შესახებ ოქმი. ოქმი რომელიც მნიშვნელოვანი დოკუმენტია **დაზარალებულის შესახებ არაფერია ნათქვამი.**⁹¹ დაზარალებული საპროცესო შეთანხმების ოქმში საერთოდ არ მონაწილეობს, და ეს ოქმი გავლენას არ ახდენს მის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია.

საპროცესო შეთანხმების დადების ფორმას და მის მატერიალურ სეგმენტს დიდი ყურადღებას ანიჭებს ამერიკის ფედერალური სასამართლო.⁹² მაგალითად, 2012 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში მოსამართლე კენედიმ, განაცხადა რომ პროკურორმა და პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა განახორციელონ განსაზღვრული მოქმედებები, რაც დაეხმარება ბრალდებულს მისთვის ნაკლებად ხელსაყრელი საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში. აღნიშნული მიზნის მიღწევას მოსამართლე კენედი სხვადასხვა გარემოებაში ხედავს, ერთ-ერთი სწორედ მოლაპარაკების დოკუმენტირება გახლავთ, მისი მოსაზრებით საპროცესო

⁹⁰ G. Nicholas Herman, Plea Bargaining, Third edition, The role of the Prosecutor, Huntington, New York, USA, 2012, p.17

⁹¹ დაწ. სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, რედ. გ. გიორგაძე, თბ, 2015, გვ.636,

⁹² Missouri v. Frye v, 132 .S. ct. 1399, (2012)

შეთანხმების პირობები და პროცესი დოკუმენტირებული უნდა იყოს. “შეთავაზების და მოლაპარაკების პროცესის დოკუმენტირება ემსახურება იმას, რომ მოგვიანებით სასამართლოსათვის ნათელი იყოს ის მოქმედებები, რაც წინ უძღოდა საპროცესო შეთანხმების დადებას.” ყველა შეთავაზების წერილობითი გაფორმება უზრუნველყოფს შემდგომი გაუგებრობისა და სიყალბის თავიდან აცილებას.⁹³ მათ შორის დაზარალებულთან ურთიერთობასთან მიმართებითაც.

სამწუხაროდ **დაზარალებულთან დაკავშირებით საუბარი არც სასამართლოსთვის წარსადგენ შუამდგომლობაშია.** ეს არის მესამე დოკუმენტი განცხადებასა და ოქმთან ერთად, რომელიც საბოლოოდ სასამართლოს წარედგინება. ზოგადად, პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გარკვეულწილად იმის თაობაზე თუ რამდენი დოკუმენტის წარდგენაა საჭირო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას პროკურორის მხრიდან.

მაგალითად, ნ.მეზურიშვილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის კომენტარებისას მიუთითებს, რომ როდესაც ბრალდების მხარის მხრიდან მოდის ინიციატივა საპროცესო შეთანხმების დადების, იდეაში აუცილებელი აღარ არის განცხადების წარდგენა, თუმცა საბოლოოდ მაინც აღიარებს რომ სასამართლო პრაქტიკა სხვა მიმართულებით წარიმართა და იმისთვის რომ, სასამართლომ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, პროკურორის შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს ბრალდებულის წერილობითი განცხადება, იმის მიუხედავად თუ ვისი ინიციატივით ფორმდება საპროცესო შეთანხმება.⁹⁴ უმჯობესი იქნება საპროცესო შეთანხმების დოკუმენტებში დაფიქსირებული იყოს, **დაზარალებულის პოზიცია**, რომელსაც საბოლოოდ მოსამართლე გარკვეული მიმართულებით გაითვალისწინებს.

4.5 დაზარალებულის მხრიდან წერილობითი მოსაზრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა

საპროცესო შეთანხმების დროს დაზარალებულის ერთგვარი სამართლებრივი ბერკეტს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და წერილობითი მოსაზრების წარდგენა წარმოადგენს. თუმცა, მეცნიერთა ნაწილის განმარტებით, აღნიშნული აზრს მოკლებულია, ვინაიდან მოსამართლეს მათი გათვალისწინების ვალდებულება არ გააჩნია კანონმდებლობით.⁹⁵ ამერიკელი მეცნიერის, აშერ ფლაინის განმარტებით, დაზარალებულებს მეტი დახმარება სჭირდებათ, მათ უნდა მივცეთ შანსი უფრო მეტად ისაუბრონ საკუთარი გრძნობების შესახებ, რესტიტუცია მათ რაიმე ფორმით უნდა მიიღონ. მათ უნდა **იგრძნონ სამართლიანობა.** „მათ უნდა შეეძლოთ იმ უბედურებაზე საუბარი რაც მათ დაატყდათ თავს.“⁹⁶ სისხლის სამართლის

⁹³ საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისათვის, (ანგარიში) თბ.,2012, გვ.6

⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გ.გიორგაძე, თბ. 2015, გვ. 639

⁹⁵ J. Messitte, Plea Bargaining in Various Criminal Justice Systems Montevideo, Uruguay, 2010 p.6

⁹⁶ Dr. Asher Flynn, Bargaining With Justice : Victims, Plea Bargaining And The victims, article N- 3, USA, 2006,p.78

საპროცესო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას დაზარალებულმა წერილობითი ან ზეპირი სახით მიაწოდოს სასამართლოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა. აღნიშნულმა დანაწესმა საკანონმდებლო რეგლამენტირება 2013 წლის ცვლილებებით მოიპოვა, რაც საბოლოოდ ძალში 2014 შევიდა, საკანონმდებლო განხილვების შემდგომ.

დაზარალებულს უფლება აქვს აირჩიოს რა გზით მიაწვდის ის სასამართლოს მიყენებული ზიანის შესახებ ინფორმაციას, წერილობით თუ ზეპირად. აღნიშნული პროცედურა გარკვეულწილად საკანონმდებლო ფორმლობაა, ვინაიდან მოსამართლეს არანაირი ვალდებულება არ აქვს გაითვალისწინოს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის საკითხი. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცედურა საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს, და ნამდვილად არ ხდება იქ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის თაობაზე მსჯელობა. მეცნიერთა ნაწილის განმარტებით, “სისხლის სამართალში პროცესის მონაწილეთა შორის მშვიდობის დამკვიდრება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების დროს არის შესაძლებელი”.⁹⁷

სისხლის სამართლის კანონის ინტერესი ყოველთვის უნდა იყოს დაზარალებულის ინტერესების დაცვა, ეს არის ტენდენცია რომელსაც სახელმწიფოები უნდა მისდევდნენ. მაგალითად, ამერიკაში ასეა და ის ვლინდება სხვადასხვა აქტებსა, საკანონმდებლო მანიფესტებში. ჯერ კიდევ, ოთხმოციან წლებში ხედავდა ამერიკელი მეცნიერი, ველინგი, მსხვერპლთა კომპენსაციებისა და დახმარების პროგრამების არსებობის აუცილებლობას. ნახსენებ მეცნიერს მიაჩნდა, რომ დაზარალებულის მდგომარეობა, ამ მიდგომით უნდა გაუმჯობესებულიყო. დაზარალებულს მინიმალური გარანტიებიც კი არ ექმნება ინტერესის გათვალისწინების. მსხვერპლს აქვს ორი ინტერესი: ადეკვატური დასჯის და ის დაინტერესებულია რესტიტუციით. მეცნიერი ასახელებს, სოციალურ ინტერესსაც, რაც საზოგადოებას გააჩნია. მართლმსაჯულებისადმი ნდობის სტანდარტი დაბლა იწევს საპროცესო შეთანხმებისას. ველინგი საპროცესო შეთანხმებას დათმობების მინიჭების საშუალებად თვლის ბრალდებულისათვის. „დათმობები ძირითადად მასზე წაყენებულ ბრალდებებს ეხება, რაც საბოლოოდ მსხვერპლის ინტერესს უპირისპირდება“.⁹⁸

სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, საკმაოდ ბევრ ნოვატორულ იდეას შეიცავდა დაზარალებულის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, თუმცა საბოლოოდ კანონში ყველა იდეის ასახვა არ მომხდარა.⁹⁹

სასურველი იქნება, მოსამართლეს შეეძლოს გაითვალისწინოს დაზარალებულის მიდგომა საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, თუ საქმის ვითარება მოითხოვს ამის აუცილებლობას, ვინაიდან მოსამართლის ამგვარ როლს

⁹⁷ ნ. კრისტი „ტკივილის საზღვრები“, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, თბ.,2017,გვ.128

⁹⁸ Sarah N. Welling, „Victim Participation in Plea Bargains“, article N -2, Washington University.1987, p.305

⁹⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ „განმარტებითი ბარათი“, N-/13 თბ.,2013, § 11, www.info.parliament.ge; ბოლოს ნანახია: (21.05.2019)

პროკურორის დისკრეციასთან მიმართებით დამაბალანსებელი ტონი ექნება. კ. ჩიხლაძის განმარტებით, „მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება გაითავლისწინოს დაზარალებულის პოზიცია და არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, გარემოებათა ნაწილს, რომლებშიც უნდა დარწმუნდეს მოსამართლე, უნდა დაემატოს დაზარალებულის წერილობით ან ზეპირი განმარტების შინაარსი, მაგალითად როგორც არის აშშ-ს შტატებში: ჯორჯიასა და სამხრეთ დაკოტაში.“¹⁰⁰

გარკვეულწილად სწორად აღნიშნავს, კ.ბუაძე თავის ნაშრომში, რომ დანაშაული „**მხოლოდ სისხლისამართლებრივ პასუხისგებლობას არ იწვევს.**“ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ზიანი აღგებათ მესამე პირებს, პირის მიერ მიყენებული ზიანი შესაძლოა გამოიხატოს სიცოცხლის ჯანმრთელობის, ქონების, ან სხვა სიკეთის ხელყოფაში საპროცესო შეთანხმების გაფორმება და პირისათვის კონკრეტული სასჯელის შეფარდება თავისთავად ვერ გამოასწორებს მიყენებულ ზიანს.¹⁰¹ ამისათვის კანონმდებლობაში უნდა იყოს უფრო ქმედითი მექანიზმები, მიახლოებით რესტიტუციის განსახორციელებლად, სსსკ-ს 209-ე მუხლის დანაწესი კი ამ მხრივ დიდი იმედის მომცემი არ არის.

მართალია, საქმის საპროცესო შეთანხმების გარეშე გადაწყვეტისასაც პირს ზიანის ანაზღაურება დამოუკიდებლად უწევს, თუმცა მას უსამართლობის გრძნობა მაინც არ აქვს დარჩენილი იმ კუთხით რომ პირისათვის, საპროცესო შეთანხმების გზით მსუბუქი სასჯელის დაკისრება არ მომხდარა და მან მიიღო ბრალის შესაბამისი სასჯელი. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანს სწორედ სამართლიანობის აღდგენა წარმოადგენს. სწორ მითითებას აკეთებს დ. მანაგაძე, როდესაც აღნიშნავს, რომ დანაშაულის ფაქტზე სახელმწიფოს რეაქცია უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით დარღვეული „სოციალური სამართლიანობის აღდგენა.“¹⁰²

საპროცესო შეთანხმებას, რადგან აქვს თავისთავად სწრაფი მართლმსაჯულების ეფექტი, გარკვეულწილად ზიანის კომპენსირებაც შემჭიდროვებულ ვადებში უნდა ხდებოდეს. თუკი წარმოებას **ვასრულებთ მოკლე ვადებში, ზიანის მოთხოვნაც ასეთ მოკლე ინტერვალით უნდა მოეთხოვოს პირს.** არ არის სამართლებრივად სასწორის პინა თანაბარი, როდესაც ბრალდებულთან პროცესის, ჩამთავრება უსწრაფესად ხდება და დაზარალებულს კი ზიანის ასანაზღაურებლად იმ ზოგად წეს ვუტოვებთ, რომელიც არსებობს საქმის არსებით განხილვისას. **სამოქალაქო სარჩელი მართალია არ არის მისაღები სისხლის სამართლის პროცესში,** თუმცა მის ნაცვლად ე. წ ამერიკაში ცნობილი „კომპენსაციის“ მექანიზმი უნდა არსებობდეს. განსაკუთრებით ისეთ დანაშაულებში, სადაც ზიანის შეფასება მარტივად განსახორციელებადია.

სამოქალაქო წარმოება ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცედურაა, შესაბამისად, რთულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება მოკლე ვადებში, მიუხედავად იმისა საქმე მარტივია თუ ძნელი. ამას თუ დავუმატებთ

¹⁰⁰ კ. ჩიხლაძე, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ.,2015,გვ,106.

¹⁰¹ კ.ბუაძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ქუთ.,2014, გვ.68

¹⁰² დ. მანაგაძე, „დაზარალებულის სტატუსი და პროცესუალური მდგომარეობა საპროცესო შეთანხმების დადებისას“, ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, N-1, თბ.,2012, გვ.98.

გასაჩივრების სამ ინსტანციურობას დაახლოებით 2 წელი გამოდის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, არ დაკისრების სამართლებრივი პროცედურა. მსხვერპლმა სამოქალაქო წარმოების თავისებურებაზე იფიქროს თუ დანაშაულის შემდგომი თვითრეალიზება მოახდინოს ძნელი სათქმელია.

განმარტებითი ბარათი, რომელიც საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანას ემსახურებოდა მსხვერპლის ინტერესების დაცვას საკმაოდ საინტერესოდ ავითარებდა. მაგალითად, საპროცესო შეთანხმების სავალდებულო პირობა უნდა ყოფილიყო ბრალდებულის მიერ დაზარალებულისათვის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) კომპენსაციის გადახდა. საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მოსამართლე უფლებამოსილი იქნებოდა ბრალდებულისათვის დაეკისრებინა დაზარალებულის სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის გადახდის მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობაც, რა თქმა უნდა, ჩათვლებოდა საპროცესო შეთანხმების პირობის დარღვევად. ყურადსაღებია, რომ განმარტებითი ბარათის თანახმად დაზარალებულის სასარგებლოდ გადასახდელი ფულადი კომპენსაციის თანხა განისაზღვრებოდა *არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარის* ოდენობით. კომპენსაციის გადახდის მოვალეობის დაკისრებისას სასამართლო ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე ბრალეულობის ხარისხი და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა. აღნიშნული მიდგომა დაზარალებულის ინტერესების დაცვის კუთხით ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ზემოთ ნახსენები კომპენსირება დაზარალებულს არ უზღუდავდა უფლებას შეეტანა სამოქალაქო სარჩელი. თუმცა, ამ შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობას გამოაკლდებოდა ფულადი კომპენსაციის გადახდილი თანხის ოდენობა.¹⁰³ ასეთი მიდგომით ფაქტობრივად ვამცირებდით სასამართლოთა გადატვირთვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

როდესაც პირი ვერ აღწევს სამართლიანობას, ყველა მიმართულებით, ეს იწვევს საზოგადოების წევრის უკმაყოფილებას, და შესაბამისად ხდება ინდივიდის სახელმწიფოსთან გაუცხოვება, საკანონდებლო ბაზით ჩვენ უნდა გავხადოთ სისხლის სამართლის პროცესი ჰარმონიული პროცესი თითოეული მონაწილისათვის. სწორად შენიშნავს ი. ჩხეიძეც, რომ **მთავარი არის არა ის თუ რა როლი ექნება დაზარალებულს პროცესის მიმდინარეობისას, არამედ უფრო მთავარია არ მოხდეს მისი ინტერესების ხელყოფა და მისი უფლებები იქნას სრულყოფილად რეალიზებული.**¹⁰⁴

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სამწუხაროდ, არ შეიცავს იმგვარ დათქმას, რომელშიც პროკურატურასა და ბრალდებულს ვალდებულება ექნებათ საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესშივე შეათანხმონ ზიანის ანაზღაურების პროცედურა, რომელიც საბოლოოდ საპროცესო შეთანხმების ოქმში აისახება. სამოქალაქო სარჩელის წარდგენა კი როგორც ზემოთ ავღნიშნეთ დამატებით ხარჯებთან და პროცედურებთან არის დაკავშირებული.

¹⁰³ დაწვრ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ „განმარტებითი ბარათი“, N-13 თბ.,2013, გ. 5-12 www.info.parliament.ge ბოლოს ნანახია: (21.05.2019)

¹⁰⁴ ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ.,2013, გვ.123

ამერიკაში საინტერესო მიდგომაა იმ კუთხით რომ ზიანის ანაზღაურება რაიმე ხერხით საპროცესო შეთანხმების დადებისას უნდა განხორციელდეს. Weldon Marc Gilbert-ის საქმეში,¹⁰⁵ მაგალითად, საინტერესო იყო ის ფაქტი რომ თავად საპროცესო შეთანხმებაში გაიწერა ის წესი თუ როგორ მოხდებოდა გარიგების დადების სანაცვლოდ ზიანის ანაზღაურება. პირობის თანახმად, ბრალდებულის მიერ პორნოგრაფიის გზით მიღებული ქონება დაზარალებულის ინტერესებს მოხმარდებოდა სახელმწიფოს დახმარებით და ჩარევით.¹⁰⁶

საპროცესო შეთანხმების დროს ზიანის ანაზღაურების სავალდებულო დანაწესი საკმაოდ საინტერესო ვარიაცია იქნება ჩვენი კოდექსისათვის, თუმცა ზიანის ანაზღაურებას უნდა ჰქონდეს დამატებით ეფექტი, ბრალდებულის მხრიდან იმგვარი მიდგომა რომ „თანხას გადავიხდი და სასჯელი აღარ დამაკისროთ არ არის სწორი მიდგომა. აბსოლიტურად სწორედ შენიშნავს რ. გოგშელიძე, რომ „დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლიანი მსჯავრდება საფუძველი უნდა გახდეს მის გამოსწორების, აღზრდის და იმ აზროვნების ჩამოყალიბების რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პირს ყოველთვის ტოლფასოვანი სასჯელი უნდა შეეფარდოს.“¹⁰⁷

საპროცესო შეთანხმება თავისთავად გულისხმობს მსუბუქ სასჯელს, ვიდრე იმას რასაც პირი იმსახურებდა, შესაბამისად აღნიშნულის დაბალანსება უნდა მოხდეს პირისათვის იმ ვალდებულების დაკისრებით, რომ მან მსხვერპლს მიყენებული ზიანი მიზერულად მაინც აუნაზღაუროს, რთული სამოქალაქო პროცედურების გარეშე როგორსაც ითვალისწინებდა 2013 წლის განმარტებით ბარათი. სასურველია, მოხდეს დაზარალებულის უფლებების გათვალისწინების ზომიერი საკანონმდებლო ინპლემენტაცია, შუალედური პოზიციის არჩევა მნიშვნელოვანია, რადგან საპროცესო შეთანხმება არ გახდეს დაზარალებულის მხრიდან ემოციური შურისძიების იარაღი, თუმცა არც მსხვერპლის ინტერესების უგულვებელყოფა შეიძლება, როგორც დღევანდელი მოდელის საპროცესო შეთანხმებით ხდება. აქედან გამოსავალი შეიძლება იყოს კომპენსაციის დაკისრების ვალდებულება ბრალდებულისათვის, რომელიც საპროცესო შეთანხმების პირობა იქნება, გარკვეული ტიპის დანაშაულებში მაინც.

მიუხედავად იმის, რომ ამერიკაში დაზარალებული კლასიკური მხარის სტატუსით არ სარგებლობს, მისი ინტერესების გათვალისწინება სხვადასხვა მექანიზმებით ბალანსდება. ამერიკაში არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც დაზარალებულის დახმარებას ემსახურება. ფონდი სხვადასხვა თანხებით საზრდოობს, გარდა საპროცესო შეთანხმების გზით შეტანილი თანხებისა. შესაბამისად, კომპენსირების სისტემაში აღნიშნული ფონდი დიდ როლს თამაშობს. დაზარალებულის კომპენსაციის ანაზღაურება მერყეობს 10 ათასი დოლარიდან 25 000 დოლარამდე.¹⁰⁸

¹⁰⁵ Weldon gilbert v. United States, 321. U.S (2012)

¹⁰⁶ დაწ. დ. მანაგაძე, დაზარალებულის სტატუსი და პროცესუალური მდგომარეობა საპროცესო შეთანხმების დადებისას, ჟურნალი „აკადემიური მაცნე“ ,N-1, თბ., 2012, გვ.100

¹⁰⁷ სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბ.,2009 გვ.22

¹⁰⁸ კ.ჩიხლაძე „საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ.,2014, გვ.112

ასეთი ფონდის შექმნა, რა თქმა უნდა, შორს მიმავალი პერსპექტივაა და უმჯობესი იქნება უბრალოდ კომპენსაციის პრინციპი არსებობდეს საპროცესო შეთანხმების დროს. მისი საშუალებით კი შემცირდება ხანგრძლივი სამოქალაქო დავები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებებს უკავშირდება. საპროცესო ეკონომიის თავსაზრისით კომპენსაციის პრინციპის არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისათვის. დავეთანხმებით უ. ზაქაშვილს, იმ ნაწილში რომ „სისხლის სამართლის საქმეში გამოტანილ განაჩენს აქვს პრეიდუციული მნიშვნელობა სამოქალაქო წარმოებისათვის“¹⁰⁹, თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ ის ამსუბუქებს **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას**.

პრეიდუციაა განაჩენის ფაქტი, როგორც დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, და მას არანაირი კავშირი პირდაპირი გაგებით ზიანის ოდენობის დადგენასთან არ გააჩნია. ბრალდებულის და დაზარალებულის ორჯერადი მონაწილეობა, რომ გამოირიცხოს სისხლისა და სამოქალაქო წარმოებაში კომპენსაციის პრინციპი ამის ერთადერთი გამოსავალია.

სისხლისამართალწარმოების ფარგლებში დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების არავითარი ბერკეტი არ არსებობს. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის აღრევის თავიდან ასაცილებლად, სასურველია, ამერიკაში ცნობილი რესტიტუციის მეთოდი დაინერგოს. ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის განსაზღვრასთან ერთად ყოველთვის ხდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა.¹¹⁰

ზიანის ანაზღაურების ნორმატიული დათქმა მოითხოვს დახვეწას. ყველაზე პრობლემური აქ ერთი სიტყვაა, **„შეიძლება შეუთანხმდეს ზიანის ანაზღაურებაზე“**, მაშინ როდესაც არაერთი ევროპული ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონები ითავლისწინებენ ზიანის ანაზღაურების სავალდებულო დანაწესს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონში მას მხოლოდ დამატებითი ეფექტი აქვს და უმჯობესი იქნება თუ ზიანის ანაზღაურება საპროცესო შეთანხმების გაფორმების აუცილებელი პირობა იქნება და სიტყვა **„შეიძლება“** სხვა უფრო ლოგიკური და რეალური ტერმინით შეიცვლება. ამერიკაში მსხვერპლთა დაცვის სპეციალური აქტებიც კი არის მიღებული, რომელიც მსხვერპლის ინტერესებს ემსახურება. მაგალითად კალიფორნიაში.¹¹¹

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს ფუნდამენტური მოვალეობა სამართლებრივი ნორმების შექმნა, მათ დაცვაზე შესაბამისი კონტროლის განხორციელება და სამართალდამრღვევთა დასჯაა. სამართალდამრღვევთა დასჯის მონოპოლია მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. შესაბამისად **დაზარალებულებულ პირებს ეკრძალებათ**, რომ სამართლიანობის აღსადგენად ძალადობისა და იძულების ღონისძიების გამოყენებით თავად გაუსწორდნენ დანაშაულის ჩადენას.

¹⁰⁹ დაწ. უ. ზაქაშვილი, სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N-3, თბ., 2007, გვ.83

¹¹⁰ ი. ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლი სამართლის პროცესში“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N-2, თბ., 2013, გვ.124,

¹¹¹ Lynne Henderson, Revisiting Victim's Rights, University of Nevada, Las Vegas -- William S. Boyd School of Law, 1999 p.403, ასევე, victim's bill of rights, California 2008, (28.06.19)

„დაზარალებულს დამნაშავეს დასჯის ნებართვა რომ ჰქონდეს ამით ერთ-უმართლობას კიდევ მეორე უმართლობა შეემატებოდა, სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს თვითიუსტიციის უარყოფით მხარეს და მის აკრძალვას. სამართლიანობის აღდგენა მესამე ნეიტრალური მხარის პრეროგატივაა“.¹¹² რამხრივ ხდება სამართლიანობის აღდგენა როდესაც პროცესის მონაწილეს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით არანაირი მექანიზმი არ გააჩნია ძნელი სათქმელია, ფაქტობრივად ასეთი მიდგომით პირს თვითიუსტიციისკენ ვუბიძგებთ.¹¹³

4.6 სასამართლოს როლი დაზარალებულის ინტერესთან მიმართებაში

კლასიკური გაგებით სისხლის სამართლის ეტაპზე, გადაწყვეტილების განაჩენის გამოტანა წარმოუდგენელია სასამართლო მონაწილეობის გარეშე. როგორც არისტოტელე იტყოდა სასამართლო არის სადაც შუაში უსამართლოსა და სამართლიანს შორის.

მოსამართლემ უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, თუმცა, რამდენად ხდება ამგვარი გადაწყვეტილებით პროცესის მონაწილეთა ინტერესთა დაბალანსება ეს მეორე საკითხია. მართებულად შენიშნავდა, გამოჩენილი ქართველი იურისტი, გ.გვაზავა რომ „ჩხუბი და ღონე არ არის ნამდვილი და სამართლიანი იარაღი დავისა და უთანხმოების გადასაწყვეტად, ამისათვის საჭიროა საქმეში ჩარევა მესამე პირისა, პირდაპირ სავალდებულოა ყოველი დავის გადატანა იმ დაწესებულებაში, სადაც ფიზიკური შეტაკების ადგილი დაიჭირა სიტყვიერმა შეტაკებამ სადაც უნდა გამოირკვეს უფლებრივი მომენტები და უსისხლოდ გადწყდეს სადავო საკითხი. ეს დაწესებულება არის სასამართლო“.¹¹⁴

რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნულ მიდგომებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას სასამართლო ძნელი სათქმელია, ვინაიდან პროცესის ყველა მონაწილის ინტერესის გათვალისწინება ამ ინსტიტუტით ვერ ხორციელდება, საქმის არსებითი განხილვის გარეშე ***ნაჩესრევი განაჩენის გამოტანით, დაზარალებულს სასამართლო საერთოდ არ ეხება.*** ერთ-ერთ ამერიკელ მეცნიერს, საპროცესო შეთანხმება სამართლიანობის შემცირების გარემოებად მიაჩნდა, მისი განმარტებით ეს ინსტიტუტი სასამართლო გადაწყვეტილებას ლეგიტიმურობის ხარისხს უკარგავს და ამის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ დაზარალებულია.¹¹⁵

ქართულ რეალობაში საპროცესო შეთანხმების დროს სასამართლოს, მართალია არ აქვს დიდი უფლებამოსილება, თუმცა გრკვეულწილად მას კანონმდებელი მოქმედების არეალს მაინც უტოვებს. მას აქვს უფლება არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, მაგრამ ძირითადი მიდგომა იმგვარია, რომ სასამართლო ყოველთვის

¹¹² გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში, “სამართლის ჟურნალი”, N-2, თბ.,2009, გვ.64

¹¹³ პირად შურისძიებასთან დაკავშირებით : იხ, ჯ. მაკბრაიდი, „ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესში“, თბ, 2011, გვ.276

¹¹⁴ გ. გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, წიგნში: „ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები“, რედ,ზ. კორმაძე, თბ.,2016, გვ.209

¹¹⁵ Jenia I. Turner. “Plea bargaining”, law article, (N-2), University Dedman School of Law, texas, 2017,p.76

ამტკიცებს პროკურორის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

დაზარალებულის ინტერესები მისთვის საერთოდ *ირელევანტურია* საპროცესო შეთანხმების დამტკიცება არ დამტკიცების საკითხში, მას არანაირი ვალდებულება არ გააჩნია გაითვალისწინოს დაზარალებულის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ეს უკანასკნელი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად. სასამართლო მხოლოდ ფორმალურ-მატერიალური კუთხით ამოწმებს საპროცესო შეთანხმებას და ასეთი განსჯის შედეგად მიდის გადაწყვეტილების საფეხურამდე. საკმაოდ მართებულად შენიშნავს ანა გურიელი, რომ „მოსამართლეს უნდა გააჩნდეს მოქმედების საკმარისი თავისუფლება იმისთვის, რომ პროცესში სხვადასხვა საკითხები ეფექტიანად გადაწყდეს, თუმცა ამან არ უნდა გამოიწვიოს შეჯიბრებითი პროცესის რელსებიდან გადახვევა“.¹¹⁶

საინტერესოა, რომ მოსამართლეს აქვს ვალდებულება იმ ნაწილში, რომ ის უნდა დარწმუნდეს გაიაზრა თუ არა პირმა ის დანაშაული რომელიც მან ჩაიდინა, და გაანალიზა თუ არა ის სასჯელი რაც მას მოელის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გამო. ამერიკული მიდგომით, ასეთ დროს სასამართლო მსჯელობს დაზარალებულზეც, და განიხილავს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს. ჩვენი კოდექსის მიხედვით სასამართლოს არ აქვს ვალდებულება დაინტერესდეს დაზარალებულის მდგომარეობით.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს ავტონომიურად სასჯელის შემცირება, შეცვლის უფლებას არ უტოვებს, ეს ავტომატურად არ ამართლებს გადამეტებულად მსუბუქი, ან მძიმე სასჯელის დამტკიცებას მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ ამ შინაარსის შუამდგომლობა წარადგინა. მოსამართლეთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში სწორად არის შენიშნული, რომ სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტს *ბრალის შესაბამისი სასჯელის დაკისრებაც წარმოადგენს*. არც განუზომლად დიდი სასჯელის დაკისრება არის გამართლებული, და არც შეუსაბამოდ მცირე სასჯელის დაკისრება. აღნიშნულის გამოსასწორებლად მოსამართლეს შეუძლია მხარეებს შესათავაზოს შეცვალონ პირობები ან საერთოდ შეუძლია უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.¹¹⁷

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით მოსამართლეებს უფრო მეტი ყურადღების გამოჩენა მართებთ, ვინაიდან აღნიშნული ინსტიტუტი სისხლის სამართლის არაერთი მონაწილის ინტერესებზეა გადაჯაჭვული, თუმცა ცოტა უტოპიურად გვეჩვენება ის ფაქტი რომ მოსამართლემ საპროცესო შეთანხმებით მოთხოვნილი სასჯელი ქმედების ხარისხთან შედარებით მსუბუქად ჩათვალოს და

¹¹⁶ დაწ. ა. გურიელი, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ N-5, თბ., 2016, გვ.48

¹¹⁷ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე თბ.,2015, გვ.63

ამ მოტივით არ დაამტკიცოს იგი. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ჩვენ **ინკვიზიციური** ტიპის პროცესზე არ ვსაუბრობთ.¹¹⁸ (შესაბამისად ეს შეუძლებელია)

გარკვეულწილად სწორედ შენიშნავს ც. რატიანიც, რომ მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით, თავად სასამართლოც დაინტერესებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით, ვინაიდან ის აჩქარებს, ამარტივებს და აიაფებს სასამართლო პროცედურას. ერთგვარად „ბრალის აღიარების თაობაზე გარიგება“ კონვეირულ მართლმსაჯულებას წარმოადგენს, საქმის სწრაფად განხილვის ფაქტორით.¹¹⁹ კანონით სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი დასაბუთებული და **სამართლიანი**, ნ. გვენეტაძის განმარტებით ეს “სავალდებულო დებულებები საპროცესო შეთანხმებასთან მიღებულ გადაწყვეტილებაზეც უნდა გავრცელდეს”.¹²⁰

რამდენად ხორციელდება, აღნიშნული დათქმა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს გარკვეულწილად პრობლემურია, სასამართლოსეული სამართლიანობა იურიდიული, ნორმატიული ხასიათის ცნებაა, და მასში მხოლოდ ბრალდებულის ინტერესი როდი მოიაზრება, სასამართლოს განაჩენისადმი კანონიერი ნდობა აქვს დაზარალებულსაც და შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დროს მიღებული განაჩენი სამართლიანობის მარცვალს **დაზარალებულის მიმართაც უნდა შეიცავდეს**. ბრალთან შეუსაბამო სასჯელის დაკისრება როგორც მკაცრი, ისე მსუბუქი, არ მოდის თანხვედრაში კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ უფლებებთან.

სასამართლოს გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ძალზედ მნიშვნელოვანია. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით სასამართლომ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით შესაძლოა სამი სახის გადაწყვეტილება მიიღოს, თუმცა აქედან **არცერთი ტიპის გადაწყვეტილება არ არის დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით ნაკარნახევი**. არც საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი, არც საქმის არსებითი განხილვის თაობაზე გადაწყვეტილება და არც საქმის პროკურორისათვის დაბრუნების შემთხვევა. სამივე ტიპის გადაწყვეტილების საფუძველი დაზარალებულის ინტერესების მიღმა დატოვებული.

¹¹⁸ შენიშვნა : პროცესის ფორმებთან დაკავშირებით იხ. თ. ლალიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბ.,2015, გვ.136

¹¹⁹ ც. რატიანი, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N-1, თბ.,2007, გვ.172

¹²⁰ ნ. გვენეტაძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში- კანონმდებლობის ანალიზი, „სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული“, მ.ტურავას რედაქტორობით, თბ.,2013, გვ.223

4.7 საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბრალდებულის პასუხისგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება და დაზარალებულის უფლებები

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ბრალდებულის სრული გათავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისგებლობისაგან, რომელიც გაცილებით უფრო მეტ დაუსჯელობის სინდრომს აჩენს ვიდრე ცალკე აღებული საპროცესო შეთანხმება. ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის ურთიერთობის ეს სპეციალური შემთხვევა საკანონმდებლო დონეზე 2005 წლის 25 მარტს იქნა შემოღებული.

ნ.მეზვრიშვილის განმარტებით განსაკუთრებულ თანამშრომლობაზე საპროცესო შეთანხმების ზოგადი წესები უნდა გავრცელდეს, თუ სპეციალური დათქმა რაიმე სხვა გარემოებას არ ითვალისწინებს. მაგალითად ბრალის, აღიარების იმპერატიულ დათქმას განსაკუთრებული თანამშრომლობის შემთხვევაში, არ აქვს მთავარი მნიშვნელობა კლასიკური საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავებით.¹²¹ საპროცესო შეთანხმების ამ ნაირსახეობასაც პირდაპირი მიმართება აქვს დაზარალებულის მდგომარეობასთან.

პასუხისგებლობისაგან გათავისუფლების სუბიექტია, როგორც ბრალდებული, ისე მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში.¹²² წინამდებარე ინსტიტუტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ის გახლავთ, რომ კანონმდებლობიდან გამომდინარე პირის სასაჯელისაგან სრული გათავისუფლება შესაძლოა მოხდეს ისე რომ ბრალდებული არც კი აღიარებდეს ჩადენილ დანაშაულს, რაც გარკვეულ წილად სირთულეს წარმოადგენს. სისხლის სამართლის პოლიტიკა, რამდენად შეიძლება განხორციელდეს ასეთ დროს საკმაოდ ძნელი სათქმელია, ვინაიდან **დაზარალებულისათვის ზიანის უშუალო მიყენებელი სუბიექტი გამოძიებასთან თანამშრომლობის მოტივით შესაძლოა საერთოდ გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისგებლობისაგან. სასაჯელის მიზნების რეალიზებაზე საუბარი ხომ საერთოდ ზედმეტია ასეთ დროს.**

ც.რატციანი, მაგალითად საპროცესო შეთანხმებას საერთოდ არასწორ ინსტიტუტად მიიჩნევდა, ხოლო განსაკუთრებულ თანამშრომლობასაც არამართებულად თვლიდა, მისი მოსაზრებით ბრალდებულის სასაჯელისაგან სრულად გათავისუფლების ნორმა ზედმეტია კანონმდებლობაში, ვინაიდან, ის მისი მოსაზრებით, კონკურირებდა სისხლის სამართლის ზოგად სადამფუძნებლო პრინციპებთან და ასეთი თანამშრომლობით ბრალდებული დაინტერესებულია, დანაშაულის არ აღიარებით და ყოველგვარი ხერხით ცდილობს „სასაჯელის მოხდას გვერდი აუაროს“. ც. რატციანის მოსაზრება ნაწილობრივ მართებულია, თუმცა ვერ გავიზიარებთ მის რადიკალურ მიდგომას საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რადაც კუთხით მისი არსებობა

¹²¹ დაწ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კომენტარი, რედ. გ. გიორგაძე, თბ., 2015, გვ.650

¹²² დაწ. ვ. დოლიძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში - გამოწვევები და ტენდეციები, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, N-3, თბ., 2018, გვ.60

გამართლებულია.¹²³ „აღნიშნულმა ინსტიტუტმა უკვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ამის გამოხატულებაა სტატისტიკური მონაცემები, რომელთა ოდენობა ყოველწლიურად მკვეთრად იზრდება“.¹²⁴

თეორიულ დონეზე ბრალდებულის/ მსჯავრდებულის პასუხისგებლობისაგან გათავისუფლება გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. ბუნდოვანია თანამშრომლობის პროცედურა. გენერალური პროკურორის მხრიდან, რომ მოხდეს სასამართლოში ამ სახის შუამდგომლობის დაყენება, უნდა არსებობდეს ობიექტური აუცილებლობა და საქმის ფაქტობრივი გარემოებანი უნდა ქმნიდეს იმის მყარ საფუძველს, რომ მან იშუამდგომლოს სასამართლოს წინშე ამ მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის გამოყენების თაობაზე.

დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი უნდა აღემატებოდეს პირის პასუხისგებაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს. საჯარო ინტერესი შეფასებითი კატეგორია, და სამწუხაროდ მასში **დაზარალებულის ფაქტორი** ნაკლებად მოიაზრება. გარკვეულ წილად მისი ინტერესიც უნდა იქნას გათვალისწინებული განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას. რაიმე ფორმით უნდა ხდებოდეს მისთვის მიყენებული **სულიერი და ქონებრივი ზიანის ანაზღაურება**, რესტიტუცია. ფაქტობრივად დამნაშავე თანამშრომლობის სანაცვლოდ პასუხისგებლობას აღწევს თავს, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე.

გ. ჭანტურიძის მართებული განმარტებით, “პირად კანონიერ ინტერეს აქვს პრიორიტეტი დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეს დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით”, შესაბამისად პიროვნების კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.¹²⁵ ცალსახად მიგვაჩნია, რომ დაზარალებულის პირადი ინტერესიც ხშირ შემთხვევაში სამართლებრივ მხარდაჭერას საჭიროებს.

კანონმდებლობა შეიცავს ჩამონათვალს იმის თაობაზე თუ როდის არ შეიძლება ამგვარი თანამშრომლობის დამტკიცება. ეს აკრძალვა შეეხება მხოლოდ წამების ნორმებს, კერძოდ წამების, წამების მუქარისა და დამამცირებელი ან არადამინაური მოპყრობის შემთხვევებს, ნახსენები ქმედებანი ხელყოფენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. აღნიშნული ნორმების ხსენება კანონმდებლობაში გარკვეულწილად განპირობებულია, იმ ფაქტორით რომ საქართველო მიერთებულია წამებასთან დაკავშირებულ გაეროს კონვენციას. გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ 1984 წლის 10 დეკემბერს მიიღო წამების წინააღმდეგ მიმართული კონვენცია. აღნიშნულ კონვენციაში დასახულია სამოქმედო გეგმები წამების, სასტიკი მოპყრობისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისადმი საბრძოლველად.¹²⁶

¹²³ გ. რატიანი, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N-1, თბ., 2007, გვ.176

¹²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) ავტორთა ჯგუფი, მ.მამნიავილის, ჯ.გახოკიძის, და ი.გაბისონიას რედაქტორობით, თბ., 2012, გვ.253

¹²⁵ გ. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებთან მიმართებაში, თბ., 2007, გვ.93

¹²⁶ დაწ. კ. ჩიხლაძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2014, გვ.83

უმჯობესი იქნება ასეთი თანამშრომლობის შეთანხმების დადება უფრო მეტი კატეგორიის დანაშაულებზე იყოს შეზღუდული, განსაკუთრებით ღირსების შემლახავი და სქესობრივი ტიპის დანაშაულების დროს.

4.8 დაზარალებულისათვის საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შეზღუდვა

ზოგადად კანონმდებლობა უშვებს საპროცესო შეთანხმების შეზღუდული გასაჩივრების შესაძლებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის 26 მარტის საკანონმდებლო ცვლილებებით შესაძლებელი გახდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრება. მიუხედავად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნისა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულს აქვს უფლება მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადასინჯოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, კანონმდებლობამ ამ მოთხოვნის ფონზე საპროცესო შეთანხმების დროს, განაჩენის გასაჩივრების საერთო წესზე უარი თქვა, და დააწესა გასაჩივრების შეზღუდვები.¹²⁷

საქმის ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე კანონმდებლობა უშვებს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობას. გასაჩივრების სუბიექტებს ამ შემთხვევაში წარმოადგენს როგორც ბრალდების მხარე ისე თავად ბრალდებული.¹²⁸ სამწუხაროდ, **დაზარალებულს** საერთოდ არ შეუძლია რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საპროცესო შეთანხმების სასამართლო მსვლელობაზე. მისი გასაჩივრების უფლების შეზღუდვა მხარის სტატუსის არ ქონის ტრანსფარენტით არის გამართლებული, რაც გარკვეული ტიპის დანაშაულებზე არ უნდა იყოს მთლად სწორი გამოსავალი.

საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება ერთგვარად ორი მხრიდან შეგვიძლია წარმოვაჩინოთ. პირველი, თავად მხარეებს შეუძლიათ გაასაჩივრონ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარი თანაბარ ვადაში. ეს არის გასაჩივრების ზოგადი წესი, ამ წესის მიხედვით მხარეებს გასაჩივრება შეუძლიათ სასამართლოს უარიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. საპროცესო კოდექსი არაფერს არ ამბობს იმასთან დაკავშირებით, თავად ზემდგომი იხილავს საქმეს თუ კვლავ განმხილველ სასამართლოს უბრუნებს. დიდი ალბათობით თავად ზემდგომი იხილავს საპროცესო შეთანხმების დამტკიცება /არდამტკიცების საკითხს. შესაბამისად, თუ გამოარკვია რომ მხარის საჩივარი კანონიერი და სამართლებრივია მას აკმაყოფილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იღებს საჩივრის ავტორის მიმართ უარყოფით გადაწყვეტილებას.

მეორე, შეთანხმება ითვალისწინებს გასაჩივრების სპეციალურ წესაც, ამ დროს საპროცესო შეთანხმება დამტკიცებულია და მხარე ითხოვს მის გაუქმებას.

¹²⁷ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში“, თბ., 2012, გვ.33

¹²⁸ ვ. ბუაძე, საპროცესო შეთანხმების აქტუალური საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ქუთ. 2014, გვ.73,

გასაჩივრების სუბიექტებისათვის კანონმდებლობა ამ დროს განსხვავებულ საკანონმდებლო კრიტერიუმებს ადგენს, რომელთა შესაბამისადაც მათ შეუძლიათ საჩივრის შეტანა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. პრობლემურია, მხარეთათვის განსხვავებული ვადის დაწესების მიზნობრიობა გასაჩივრების კუთხით, და ასევე საპროცესო შეთანხმების გაუქმების მოთხოვნა საკასაციო ეტაპზე.

მსჯავრდებულის მიერ განაჩენის გაუქმების მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა გახდეს საპროცესო შეთანხმების იძულებით, მუქარით, ძალადობით, დაშინებით ან კიდევ მოტყუებით დადება. ასევე ის ფაქტი, რომ ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება აგრეთვე საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა. საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საკმაოდ საინტერესო საფუძველი გააჩნია ბრალდების მხარეს, აღნიშნული ყურადღებას იქცევს გასაჩივრების განუსაზღვრელი ვადით. პროკურორი „უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში“ შეიტანოს საჩივარი ზემდგომ ინსტანციაში. თუკი მსჯავრდებულისათვის საჩივრის შეტანა შესაძლებელია 15 დღეში და ისიც განაჩენის გამოტანიდან, ბრალმდებლისათვის ვადაც გაზრდილია და გასაჩივრების ათვლის წერტილიც.

ის თუ რა შეიძლება იყოს საპროცესო შეთანხმების პირობა, ეს მხარეთა ნება სურვილის- შედეგია. საინტერესოა, კანონმდებელი საპროცესო შეთანხმების პირობაში თუ მოიაზრებს ბრალდებულის ქცევას, ან კიდევ მის მიერ სასჯელის ჯეროვნად მოხდას. უმჯობესი იქნებოდა საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა **დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის** ანაზღაურებაც ყოფილიყო ან კიდევ დაზარალებულთან შერიგება, საპროცესო შეთანხმების დროს პროკურორი უნდა ცდილობდეს დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინებას. მისი ინტერესი საპროცესო შეთანხმების პირობებშიც უნდა იყოს ასახული. თუნდაც აღდგენითი მართლმსაჯულების კონტურებით. მაგალითად, საპროცესო შეთანხმების პირობა და შემდგომში მის გასაჩივრების საფუძველი პროკურორის მხრიდან, უნდა იყოს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის არ ანაზღაურება.

კანონმდებელი მკაცრია დაზარალებულის მხრიდან საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით. ეს არის საკითხით დაინტერესებულ პირთა შორის განსჯის საგანი, თუმცა მაინც მიგვაჩნია, რომ პროცესის მონაწილეს უნდა შეეძლო საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება, შესაძლოა ის არსებობდეს აბსოლიტური გასაჩივრების ან კიდევ **შეზღუდული გასაჩივრების უფლების სახით**. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ დანაშაულის კატეგორია არ განსაზღვრავს პირისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, შესაბამისად, ტკივილის ხარისხსაც.¹²⁹ სწორედ ამიტომ, გასაჩივრების კრიტერიუმი უნდა განისაზღვროს არა დანაშაულის კატეგორიის, არამედ დანაშაულის ფორმის, ტიპის მიხედვით.

საპროცესო შეთანხმება არ უნდა იქცეს ე.წ ვენდეტების იარაღად და არ უნდა გააღვიოს ერთგავრი ტალიონის პრინციპი, სამაგიეროს მიზლვა არ უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების მოტივი და შესაბამისად საჩივრის წარმატება

¹²⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის, N-2-/12/1229, 1242, 1247, 1299, გადაწყვეტილება საქმეზე : „ბ. ყირმიზაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-42,

წარუმატებლობა დაფუძნებული უნდა იყოს გონივრული განსჯას, საჩივარი უნდა შეიცავდეს ლეგიტიმურ დასაბუთებას იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რატომ ასაჩივრებს პირი მას. აღნიშნული გასაჩივრების პრინციპი იქნება ერთგვარად დამამუხრუჭებელი ეფექტის მქონე გაუაზრებელი საპროცესო შეთანხმებების.

საპროცესო შეთანხმება ექსპრონტად ყველა კატეგორიის დანაშაულზე არ უნდა იდებოდეს ყოველგვარი მიზნობრიობის დასაბუთების გარეშე და ამ მხრივ რ. გოგშელიძის აზრს დავეთანხმებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე თანხის შეტანა არ უნდა იყოს პასუხიგებლობისაგან დახსნის საფუძველი „ასეთი ფორმით საპროცესო შეთანხმების გამოყენება იქამდე მიგვიყვანს, რომ დაიკარგება არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მიზანი, არამედ გაუფასურდება სასჯელის მიზანიც“.¹³⁰ ძალადობრივი დანაშაულების, დროს საპროცესო შეთანხმების დადება არ უნდა იყოს შესაძლებელი ან უნდა იყოს გარკვეული კრიტერიუმებით შეზღუდული, როგორც ეს არის ზემოთ ჩემს მიერ სხვა თავის ფარგლებში განხილული საპროცესო შეთანხმების მოდელებისას.

დაზარალებულისათვის საპროცესო შეთანხმების აბსოლიტური გასაჩივრების შესაძლებლობა უდავოდ ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, სწორედ ამიტომ, უმჯობესი იქნება, კანონმდებლობაში იყოს დათქმა თუ როდის არის შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება. როდესაც პირი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე თანახმაა მისი გასაჩივრება აღარ უნდა შეიძლებოდეს, (ან ასეთ საჩივარს სასამართლოში წარმატების პერსპექტივა არ უნდა ჰქონდეს) ვინაიდან საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება მხოლოდ შურისძიების მოტივით არ შეიძლება განხორციელდეს.

გასაჩივრების უფლების არსებობა დღევანდელი კოდექსის პირობებში არ შეიცავს იმის საფრთხეს, რომ სასამართლო სისტემა სამართლებრივ კაზუსს წააწყდება, როგორც ეს ადრე იყო. მაშინ პროცესის ფორმაცია სხვა იყო და დაზარალებულის სტატუსიც.¹³¹

ი.ჩხეიძე საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობას დაზარალებულის ინტერესების დაცვის მიდგომით ამართლებს და გონივრულ გამოსავლად ხედავს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების პირობებს კიდევ ერთი პირობა დაემატოს.¹³² ასეთი მიდგომა გამართლებულია განსაკუთრებით, მაშინ როდესაც არ ხდება დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება საპროცესო შეთანხმების პირობებში, მაგალითად ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით. აღნიშნული ნამდვილად არ არის შეჯიბრობითობისა და თანასწორუფლებიანობის დარღვევა, ვინაიდან გასაჩივრების უფლება სუბსიადარული ბრალდებას არ წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულთან კონსულტაციას არ აქვს არანაირი შედეგი სასურველია დაზარალებულს, როგორც საქმით დაინტერესებულ

¹³⁰ რ. გოგშელიძე, „საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე“?! ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“ N-1, 2007, გვ.92

¹³¹ ა. ჯავახიშვილი, საპროცესო შეთანხმება საქართველოში ჟურნ. „აკადემიური მაცნე“, N-1, 2012, გვ.35

¹³² ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლი სამართლის პროცესში“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N-2, თბ.,2013, გვ.123

პირს, მიენიჭოს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობა, ვინაიდან მისთვის პროცესის შედეგს აქვს **სამართლებრივად რელევანტური მნიშვნელობა**. აღნიშნული თავისთავად გამორიცხავს დაზარალებულის ინტერესებისადმი ზედაპირულ დამოკიდებულებას საპროცესო შეთანხმების დადების ეტაპზე, მათ შორის კონსულტირების პროცედურის დროსაც.¹³³ ასეთი მიდგომა შეამცირებდა დაზარალებულის მხრიდან სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შემთხვევებსაც, რადგან მისი ზიანის ანაზღაურების საკითხი საპროცესო შეთანხმების დადების მომენტშივე განსჯის საგანი იქნებოდა. (პირობების დადგენის ეტაპზე).

ც. რატინის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი „დაზარალებულის უფლებებს ხელაღებით არღვევს, იწვევს მათი ინტერესების ხელყოფას და ის არ იცავს საზოგადოებას დანაშაულისაგან.“¹³⁴ საპროცესო შეთანხმება პროცესის ეფექტური ინსტიტუტია, თუმცა დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, ამ უკანსკნელს უნდა შეეძლოს გარკვეულ შემთხვევებში მისი გასაჩივრება. საპროცესო შეთანხმების დროს გასაჩივრების უფლების არარსებობა, პროკურორის საშუალებას აძლევს ძალაუფლება ხშირ შემთხვევაში გამოიყენოს თვითნებურად, რადგან არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რაც მისი გადაწყვეტილების კანონიერებას შეამოწმებს.

ა. გურიელი, გასაჩივრებასთან დაკავშირებით დაზარალებულის უფლებას გამართლებულადად მიიჩნევს, მისი განმარტებით, „აღნიშნული ერთის მხრივ უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების მხრიდან, თვითნებური, დაუსაბუთებელი, გადაწყვეტილების მიღების ალბათობის შემცირებას და ამით მას საკუთარი უფლების დაცვის რეალური ბერკეტები ექნება“.¹³⁵ როდესაც დაზარალებულის მხრიდან საპროცესო შეთანხმების გასაჩივრებაზე ვსაუბრობთ ერთმანეთისგან არის გასამიჯნი ის, თუ რისი გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მას. სასამართლოს განაჩენის თუ, ***პროკურორის მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების***, რომლითაც ის ითხოვს ან მოითხოვს სასამართლოსგან საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანას. დაზარალებულს უნდა შეეძლოს არამართ ამ გადაწყვეტილების არამედ, თავად სასამართლოს მიერ დაჩქარებულ ვადაში მიღებული განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა, ისეთი ტიპის დანაშაულებში, სადაც მსხვერპლისათვის მიყენებული ტკივილი უფრო მაღალია, სქესობრივი დანაშაულები, ძალადობრივი დანაშაულები, არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილი დანაშაულები და სხვა.

3. ზეჰრის განმარტებით, ხშირ შემთხვევაში მართლმსაჯულების პროცესი სიმშვიდისა და სარგებლის მოტანის ნაცვლად აღრმავებს საზოგადოების ტკივილს,¹³⁶ საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების აბსოლიტური შეზღუდვა თავისთავად დაზარალებულში ასეთი ტკივილის გამომწვევია. საინტერესოა რომ რ.

¹³³ ა. გურიელი, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ N-4, თბ., 2016, გვ. 221.

¹³⁴ ც. რატინი, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სისხლის სამართალი პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N-1, თბ., 2007, გვ. 172-174

¹³⁵ ა. გურიელი, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, N-4, 2016, გვ. 221

¹³⁶ 3. ზეჰრი, „აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი“, თარგ. ი. რევიშვილი, თბ., 2007, გვ. 4

გოგშელიძე საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლებას, ამ ინსტიტუტზე დაზარალებულის თანხმობის შემოღებას ამჯობინებდა, შეთანხმების სისრულეში მოსაყვანად.¹³⁷ იურისტების ნაწილის განმარტებით დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით თანხმობის ინსტიტუტის არსებობა საპროცესო შეთანხმების დადებისას “სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია”.¹³⁸ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით ვეტოს უფლების გამოყენება ერთ-ერთ ამერიკელ მეცნიერს გამართლებულად მიაჩნია, მისი აზრით ეს არის შესაძლებლობა აღდგეს ბალანსი სახელმწიფოსა და დაზარალებულის სამართლებრივად დაცვად ინტერეს შორის.¹³⁹

საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შეზღუდვის გამართლება იმ მოტივით რომ დაზარალებული მხარე არ არის, ნამდვილად არ არის გამართლებული, ქართული საპროცესო შეთანხმება არ არის ამერიკული მართლმსაჯულების საპირწონე, იქ ამ უფლების შეზღუდვის სანაცვლოდ მსხვერპლთა დაცვის სხვა მექანიზმები არსებობს და არა უბრალო კონსულტაციის მსგავსი უფუნქციო მექანიზმი. სწორედ, საპროცესო შეთანხმების გაუმართავი მექანიზმის გამო უწოდებდა პროცესუალისტი, გ. მეფარიშვილი საპროცესო შეთანხმებას, „ამერიკული შეთანხმების ქართულ სუროგატს“.¹⁴⁰

¹³⁷ დაწ. რ. გოგშელიძე წიგნში, სისხლის სამართლის პროცესო (კერძო ნაწილი), თბ., 2008, გვ. 382.

¹³⁸ მ. სალხინაშვილი, ნ. შუბლაძე, სისხლის საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო შეთანხმების თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურ. მართლმსაჯულება N-3, 2007, გვ. 17

¹³⁹ Erin O, Hara, Victim participation in The Criminal Process, journal of law and Policy, article N- 12, Brooklyn law school, 2005, p. 246-247

¹⁴⁰ გ. მეფარიშვილი, მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკის ქართული ვარიანტის ზოგიერთი ასპექტი, სამართლის პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 34,

თავი V. სასამართლო პრაქტიკა და საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა

5.1 საერთო სასამართლოების პრაქტიკა

ადგილობრივი სასამართლოს მიდგომა როგორც ზემოთ თავებში მიმოვიხილეთ ხშირ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით შაბლონური და ტენდენციურია ყველა მიმართულებით, მათ შორის დაზარალებულის კუთხითაც. სხვადასხვა განაჩენთა ანალიზმა ცხადყო ის პრობლემები, რომლებზეც გარკვეულწილად უკვე შევეხეთ. სასამართლო ძირითადად ამოწმებს საპროცესო შეთანხმების ფორმალურ მხარეს, ხშირად კი რელევანტური გარემოებები ყურადღების მიღმა რჩება.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმებასა და დაზარალებულის უფლებაზე, სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში, საკმაოდ საინტერესო მსჯელობა განავითარა. საქმე შეეხებოდა უფლებამოსილების გადამეტებას, რომელიც განახორციელმა სატყეო სააგენტოს თანამშრომელმა. ბრალმდებელმა იშუამდგომლა პროკურატურის წინაშე საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, იმის ფონზე რომ მხარეები საქმეში არსებულ მტკიცებულებას სადავოდ არ მიიჩნევდნენ სასამართლომ მხარეების მოთხოვნა რელევანტურად ჩათვალა.

სასამართლოს განმარტებით მოთხოვნილი სასჯელი შეესაბამებოდა ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. *“სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.”* სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანობის აღდგენის კუთხით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირის მსჯავრდება ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ ამ ქმედებისათვის ადეკვატური სასჯელის განსაზღვრაც, რამაც უნდა მოახდინოს *„დაზარალებულებისათვის მიყენებული ტკივილის და უფლებების დარღვევის კომპენსირება.“* სასამართლოს განმარტებით, სასჯელის სამართლიანობა უნდა შეაფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასჯელის ინდივიდუალულობის პრინციპის გათვალისწინებით.

„თითოეული ჩადენილი ქმედება და მისი ჩამდენი პირი თავისი ინდივიდუალობით გამოირჩევა, შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან.“¹⁴¹

5000 ლარიანი ჯარიმის შეფარდება საჯარო მოხელისათვის გარკვეულწილად მსუბუქი სასჯელია, და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების სეგმენტს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს, თანაც პირს გამოძიებასთან არც კი უთანამშრომლია.

¹⁴¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე: N-/1- 0101016001215534, 05/01/18

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებით, დაზარალებულის როლი საერთოდ ნიველირებულია და სასამართლო საჭიროდ არც კი თვლის მასზე საუბარს წინამდებარე საქმე შეეხებოდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დანაშაულს, დაზარალებულს მჩხვლეტავი, წვეტოვანი, საგნით მიაყენეს დაზიანება გულ-მკერდის არეში, თანახმა იყო თუ არა დაზარალებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე ნახსენებ საქმეში არ ჩანდა.¹⁴² მაგალითად, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენში (N1/3-2018) **დაზარალებულის პოზიციასთან** დაკავშირებით პირდაპირი მითითება არსებობდა, რომ ის თანხმობას აცხადებდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

ამერიკაში მიუხედავად დაზარალებულის შეზღუდული როლისა, სასამართლო სასჯელის დაკისრებისას მის ინტერესებზე იმპერატიულად მსჯელობს და განიხილავს ზიანის ანაზღაურების საკითხსაც. თუკი, პროცესი გვაქვს ამერიკული მოდელისკენ გადახრილი დაზარალებულის პროცესუალური მნიშვნელობის დატვირთვაც ამერიკულ მიდგომას უნდა მოვარგოთ. შტატებში ხშირად პირისათვის დაკისრებული ჯარიმა დაზარალებულის ინტერესებს ემსახურება. წინამდებარე შემთხვევაში კი ბათუმში პირის სისხლის სამართალთან ურთიერთობა „7000“ ლარის გადახდით დასრულდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიზერული სასჯელის სანაცვლოდ პირთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ დანაშაულში. ბრალდებულმა შელაპარაკების ნიადაგზე ორი ადამიანი დაჭრა. აღნიშნულ შემთხვევაშიც დაზარალებულზე საუბარი საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას არ ყოფილა.¹⁴³ მეცნიერთა ნაწილის განმარტებით, საპროცესო შეთანხმებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას დაზარალებულის მხრიდან იწვევს, სწორედ სასჯელის უკიდურესად შემცირება ბრალდებულისათვის. ზედმეტად გულუხვი პირობები დაზარალებულის ინტერესზე აისახება. ამ ყველაფერ კი მისი მწირე საპროცესო უფლებებიც ემატება.¹⁴⁴

დაზარალებულის შესახებ საუბარი არ ჩანს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენებშიც, სამწუხაროდ მოსამართლე და პროკურორი არც კი იხსენიებენ მას, არადა მსხვერპლს ერთ-ერთ საქმეში ცემისაგან ელენთა გაუხეთქეს.¹⁴⁵

დაზარალებულის პოზიციას არ იხსენიებს, საკუთარ განაჩენში რუსთავის საქალაქო სასამართლოც, ერთ-ერთ საქმეში ბრალდებულმა დაზარალებულს ფეხი ჯერ სახეში შემდეგ კი ნეკნებში დაარტყა. სასამართლო და პროკურატურამ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო რესურსების ეფექტურობის გამოყენების მიზნით გაამართლა საპროცესო შეთანხმების დადება, თანაც ბრალდებულისათვის მხოლოდ პირობით მსჯავრის დაკისრებით შემოიფარგლა.¹⁴⁶ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჭეშმარიტი მართლმსაჯულების პრინციპი სწორედ ის არის რომ პირს ის არგუნო

¹⁴² ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი საქმე: N 1-208/19, 29/03/18

¹⁴³ ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი საქმე: №1-804/18, 05/09/18

¹⁴⁴ Jenia I. Turner. "Plea bargaining", article (N-2), University Dedman School of Law, texas, 2017,p.85

¹⁴⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, N-1/15, 16/05/16, ასევე, N-1/14/ ,13/09/17

¹⁴⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, N-1ა/03/-18, 2/03/18

რასაც იმსახურებს ინდივიდუალობისა და თანასწორობის მოთხოვნის გათავისწინებით.¹⁴⁷

საპროცესო შეთანხმება აქტიურად იდება **სააპელაციო ეტაპზე**, და მათ შორის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებშიც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში პირმა დანით, გულმკერდისა და ზურგის არეში სასიკვდილოდ დაჭრა კაფეში მშვიდად მჯდომი, ახალგაზრდა ადამიანი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, თუმცა სააპელაციო ეტაპზე პროკურატურამ იშუამდგომლა ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დაუკმაყოფილა და სასჯელი ხუთი წლით შეუმსუბუქა განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს, რომელმაც ადამიანის მოკვლა მხოლოდ გარე ფაქტორების გამო ვერ შეეძლო. დაზარალებულზე საუბარი არც ამ შემთხვევაში ყოფილა, რომელსაც თვალნათლივ მიადგა ზიანი. სასამართლომ ბრალის აღიარება და სასჯელზე შეთანხმება კანონიერად ჩათვალა და სასჯელი სოლიდურად შეამცირა.¹⁴⁸

მეორე შემთხვევაშიც, სააპელაციო სასამართლომ უსიტყვოდ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმეზე სსკ-ს 19, 108. აღნიშნულ საქმეში პირმა სამჯერ მოუქნია მსხვერპლს დანა გულმკერდის, ილღის, ფილტვის და ნეკნის მიდამოებში. ყოველივე ამის მიუხედავად, სასამართლომ მას სამი წლით შეუმცირა პენიტენციალურ დაწესებულებაში ყოფნის ვადა, პროკურორმა, განმარტა, რომ აღნიშნული გარიგება საჯარო წესრიგს არ ეწინააღმდეგებოდა.¹⁴⁹ საინტერესოა, რომ სხვა განაჩენებისაგან განსხვავებით იმაზეც კი არ იყო საუბარი, რომ პირი ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს. სააპელაციო სასამართლო ამგვარად აქტიურად ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებებს, სხვადასხვა ხარისხისა და კატეგორიის დანაშაულებზე, ამას მითითებული სტატისტიკაც ცხადყოფს დაზარალებულს მსჯელობა კი სასამართლოს მიერ მიღებულ განაჩენებში არ ჩანს.

საპროცესო შეთანხმება თავისთავად მტკიცდება **უზენაეს სასამართლოშიც**, თუმცა, მიდგომა იდენტურია ქვედა ინსტანციების მსგავსად და სასამართლოს განაჩენში დიდი მსჯელობა არ არის საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით.

მაგალითად, უზენაეს სასამართლოში საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა ყაჩაღობაზეც, სადაც მომეტებულად თვალში საცემია ბრალდებულთა ძალადობრივი მოქმედებანი, რამდენად მიზნობრივი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება ამ შემთხვევაში განსჯის საგანია.¹⁵⁰ მსჯავრდებულებმა დანის გამოყენებით პარკში მშვიდად მჯდომი მოქალაქე დააყაჩაღეს, რომელსაც ყელზე დამატებით დანაც გამოუსვეს, ნაკაწრის სახით. სასამართლომ განმარტა, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებდა საკანონმდებლო მოთხოვნებს, ფორმალურ-სამართლებრივი კუთხით და შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. დაზარალებულს საუბარი ან მის ინტერესზე მსჯელობა საერთოდ არ ყოფილა

¹⁴⁷ რ. უექსი, სამართლის ფილოსოფია, (ძალიან მოკლე შესავალი), თბ., 2012, გვ. 83

¹⁴⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე : N- 1გ/512-16, 17 /04/18

¹⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე : N- 1/ზ-860-18, 18/09/18

¹⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი: საქმე N-340 აპ.-18, 10/12/18

ამერიკული სასამართლოებისგან განსხვავებით. საპროცესო შეთანხმებით, სასჯელის სამი წლით შემცირება კი ამგვარი დანაშაულის დროს არ უნდა იყოს გამართლებული თანაც მაშინ, როდესაც, სასწორზე არამართო საკუთრება არამედ ადამიანის სიცოცხლეს დგას. სასჯელის შემცირება შემდგომშიც შეიძლება მსჯავრდებულის ქცევის გათვალისწინებით პენიტენციურ დაწესებულებაში.

მაგალითად, ბულგარეთში საპროცესო შეთანხმება საკასაციო ეტაპზე არც კი შეიძლება და თანაც ის საერთოდ აკრძალულია მძიმე ხარისხის დანაშაულებზე, დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით.¹⁵¹

საინტერესოა რომ 2019 წელს უზენაეს სასამართლოში საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა სსკ-ს 126¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულშიც.¹⁵² მსჯელობა აღნიშნულ შემთხვევაშიც საკმაოდ მწირე და ლაკონური იყო. პირი, რომელიც საკუთარ მეუღლეზე სისტემურად ძალადობდა და მას ტკივილს აყენებდა, დანაშაულის აღირებით და ე. წ. „მონანიების საშაულებით“ შეძლო სასჯელის შემსუბუქება საკასაციო ეტაპზე. საზღვარგარეთ, მაგალითად სასამართლო იმასაც ამოწმებს რამდენად გულწრფელია დამნაშავე როდესაც ბრალს აღიარებს, და შემდგომში ამის გათვალისწინებით ამტკიცებს ყველასათვის სასურველ საპროცესო შეთანხმებას. აღნიშნულ საქმეში ბრალდებული მსხვერპლზე სისტემატურად ძალადობდა, არ აძლევდა მეზობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობის შესაძლებლობას, ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მსხვერპლი საავადმყოფოში აღმოჩნდა, მოძალადემ რომ გაიგო ის ორსულად იყო, ამის მიუხედავად, სამედიცინო დაწესებულებაშივე, ქალი მაინც სცემა, თავისა და ფეხის მიდამოებში. უზენაეს სასამართლოში, ყოველივე ამის ფონზე, პროკურატურამ იშაუმიდგომლა პირთან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, სასამართლომ დააკმაყოფილა იგი და მოძალადეს ამის შედეგად სასჯელი შეუმსუბუქდა. რამდენად არის სწორი გამოსავალი ასეთ დროს საპროცესო შეთანხმების გაფორმება ძნელი სათქმელია.

5.2 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით „ჰუსეინ ალისა და ელენ კირაკოსიანის“ საქმეში. წინამდებარე საქმეში ეს პირები **წარმოადგენდნენ დაზარალებულებს**, მოსარჩელეთა განმარტებით, საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა სამართლიანი სასამართლოს ზოგად საწყისებს და უზღუდავდათ უფლებას სამართლიანი სასამართლო განხილვის ნაწილში. ჰუსეინ ალი, წარმოადგენდა საკმაოდ მსხვილ ბიზნესმენს (თამბაქოს სფეროში), რომლის ქონებასაც 2004 წელს მოტყუებით სხვა პირები დაეუფლნენ. სასამართლო პროცესზე, ჰუსეინ ალის წარმომადგენელმა ვალი განგებ აღიარა, რამაც გამოიწვია მისი აქტივების სხვა პირის ხელში გადასვლა. ამ საქმესთან დაკავშირებულმა პირებმა ბრალი აღიარეს, თუმცა არ დაუსახელებიათ

¹⁵¹ ა.ტინსლი, იურიდიულ დახმარება სისხლის სამართალში და საპროცესო შეთანხმება, თბ., 2017, გვ.37

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი: საქმე N- 568 აპ.-18, 19/03/19

დანაშაულის შემკვეთი და ორგანიზატორი. დაზარალებული კი მიიჩნევდა რომ მან დანაშაულის შედეგად მატერიალური და მორალური ხასითის ზიანი განიცადა, შესაბამისად შეილახა მისი როგორც საკუთრების, ისე სამართლიანი სასამართლოს უფლება.¹⁵³

ელენ კირაკოსიანიც დაზარალებულს წარმოადგენდა, მის შვილი შურისძიების მოტივით ბრალდებულებმა სასიკვდილოდ დაჭრეს. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ პროკურორმა გამიზნულად დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია მოახდინა, შესაბამისად, განზრახ მკვლელობის ნაცვლად დამანაშავეებს ბრალი წაეყენათ, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბრალდებულებმა მოსარჩელეთა განმარტებით, იმაზე მსუბუქი სასჯელი მიიღეს, ვიდრე იმსახურებდნენ. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა საპროცესო შეთანხმებამ მკაფიოდ წარმოაჩინა ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარის ორგანოებს წინამდებარე ინსტიტუტი ხშირ შემთხვევაში საშუალებას აძლევს ყოველგვარი კონტროლის გარეშე შევიდეს უკანონო გარიგებაში ბრალდებულთან, სასამართლო კი თავის მხრივ მოკლებულია შესაძლებლობას საფუძვლიანად შეამოწმოს საპროცესო შეთანხმების მართებულობა (ხაზგასმა ჩემია, მ.გ). დავეთანხმებით ნაწილობრივ მოსარჩელეს იმ ნაწილში, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება დაზარალებულზეც ვრცელდება.

სად აზრს არ არის მოკლებული, მოსარჩელეთა ის მითითება, რომ დაზარალებულისათვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა საფრთხის შემცველია რეალურად მიყენებული ზიანის ანაზღაურების კუთხითაც, ვინაიდან კანონმდებელი დაზარალებულს სამოქალაქო სარჩელის შეტანის და შემდგომში მის წარმატებულობის ხარისხს ხედავს მხოლოდ იმ ნაწილში რომელშიც ბრალდებული დამანაშავედ იქნა ცნობილი. წინამდებარე შემთხვევაში დაზარალებულს უნდა ედავა ჯანმრთელობის დაზიანების და არა მკვლელობის გამო, რადგან საპროცესო შეთანხმებით მკვლელობა არ იქნა დადგენილი. მორალური ზიანი კი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმედან გამომდინარეობს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საჯარო ინტერესთან ერთად კერძო ინტერესსაც აზიანებს, და ეს კერძო ინტერესიც დაცვას საჭიროებს. სამართლიანობა უნდა აღდგეს არა მარტო საზოგადოებრივ არამედ კერძო ინტერესთან მიმართებითაც.

სწორად შენიშნავს საკონსტიტუციო სასამართლო, რომ „სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაცია მოითხოვს იმ კონკრეტული უფლების არსებობას, რომლის დაცვაც განაპირობებს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას.“¹⁵⁴ დანაშაულისაგან მიყენებული ზიანი დაზარალებულს თავისთავად წარმოუჩენს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას. პირველ მოსარჩელესთან დაკავშირებით, სასამართლო საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლებას

¹⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19.12.2008 წლის გადაწყვეტილება N-1/1/403,427, „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენ კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I- 6

¹⁵⁴ დასახ. გადაწყვეტილება II- 2

აიგივებს სისხლისამართლებრივი დევნის წარმოების საშუალებასთან, იმ პირთა მიმართ, რომელთა პასუხისგებლობაც არ დამდგარა.

დაზარალებულის მხრიდან დევნის გასაჩივრების შესაძლებლობა ნამდვილად არ უნდა იყოს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საპირწონე, ვინაიდან შესაძლებელია ფორმალურად დევნა არ შეეწყვიტოს, მაგრამ პირს საპროცესო შეთანხმებისას საკმაოდ რბილი სასაჯელი დააკისრო. ერთგვარად ადგილი შესაძლოა ჰქონდეს ფორმით კანონიერ მაგრამ არსით უკანონო ქმედებას. გ. მეფარიშვილის განმარტებით, ბრალდება ყოველთვის შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს.¹⁵⁵ **დევნის გასაჩივრება და საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება არსობრივად და თვისობრივად განსხვავებული ცნებებია.**

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობას საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენების ნაწილში ვერ გავიზიარებთ და პირიქით მის დაშვებას გარკვეული ხარისხის დანაშაულებზე, მიგვაჩნია რომ, უფრო გამაწონასწორებელი ეფექტი ექნება. ნაწილობრივ, გაუგებარია საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა იმ ნაწილში, რომ ის ფაქტობრივად, არ ასხვავებს ერთმანეთისგან განზრახ მკვლელობას და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელმაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.¹⁵⁶ ზიანის მიყენების თვალსაზრისით ისინი სხვადასხვა იურიდიულ სისტემას ქმნიან.

საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ პირადი შურისძიების იარაღად მიაჩნია, და შესაბამისად სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოტივით ამართლებს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შეზღუდვას. მართალია, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლიტური, თუმცა ეს არ უნდა უზღუდავდეს დაზარალებულს გარკვეულ დანაშაულებზე მაინც, მისი გასაჩივრების შესაძლებლობას, ან უნდა არსებობდეს მასზე რაიმე ზემოქმედების ბერკეტი. მართებულად შენიშნავს ჰოვარდ ზეჰრი, რომ **„დაზარალებული ხშირად იგნორირებულად, მიტოვებულად და ზოგიერთ შემთხვევაში უფლებამწაფულადაც კი გრძნობს თავს მართლმსაჯულების სისტემისაგან.“** საპროცესო შეთანხმების ხისტმა გამოყენებამ არ უნდა შექმნას საფუძველი ამგვარი გრძნობების გაჩენის. დაზარალებულს გააჩნია კონკრეტული მოთხოვნები და ეს მოთხოვნები სამართლებრივმა სისტემამ რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს.¹⁵⁷

¹⁵⁵ გ. მეფარიშვილი, „დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით,“ სამართლის პუბლიცისტიკა, თბ., 2014 გვ. 19-21

¹⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 19.12.2008 წლის გადაწყვეტილება, N-1/1/403,427, „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენ კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II -12

¹⁵⁷ ზ. ზეჰრი „ადდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი“, თარგმ. ი.რევიშვილი 2007წ. გვ.16

5.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროპულმა სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა „ნაცვლიშვილი ტოგონიძის საქმესთან“ დაკავშირებით. მიუხედავად იმის, რომ საქმე ძველი კონფიგურაციის პროცესს შეეხება, ის მაინც მნიშვნელოვანი სამართლებრივი ღირებულებებით გამოირჩევა, თავად საპროცესო შეთანხმების და ზანის ანაზღაურების საკითხებთან დაკავშირებით.

საქმე შეეხებოდა ქუთაისის ერთ-ერთი მსხვილი ქარხნის დირექტორს, რომელსაც ბრალდება „მითვისებასა და გაფლანგვაში“ ედავებოდა. განცხადებლის განმარტებით მისი მხრიდან საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობა და **ზიანის ანაზღაურების დავალდებულება ნებაყოფლობით არ მომხდარა** და ეს იყო იძულებისა და შექმნილი გარემოების შედეგი. ციხეში მისი მოთავსება მკვლელობასა და ადამიანის გატაცებაში მსჯავრდებულებთან, მასზე ცუდი ზემოქმდება მოახდინა, და გამოიწვია საპროცესო შეთანხმების დადებაზე თანხმობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რეალურად საპროცესო შეთანხმების გაფორმება თავად ბრალდებულის ინიციატივით განხორციელდა. საქმეში არსებობდა უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც ირკვეოდა, რომ ინიციატივა თავად ბრალდებულისგან მოდიოდა, „ხანგრძლივი პატიმრობისაგან თავის არიდების ერთადერთი გარემოება სწორედ საპროცესო შეთანხმება იყო“ აღიარებდა განმცხადებელი.¹⁵⁸

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების იძულების მტკიცების ტვირთი განმცხადებელმა წინამდებარე საქმეში ჯეროვნად ვერ დასძლია. სასამართლოც საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას არ იყო მოწოდების სიმალლეზე, ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის ფაქტი რომ მოსამართლემ ერთ დღეში შეამოწმა საპროცესო შეთანხმების პირობები, რომლის საქმის მოცულობაც 12 ტომს წარმოადგენდა.

აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმით, რომ სასამართლო მსჯელობს საპროცესო შეთანხმების იურიდიული რაობის შესახებ, და ყურადღებას ამახვილებს **ზიანის ანაზღაურების მართლზომიერებაზე**. აღნიშნულ საქმეში, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სწრაფი მართლმსაჯულება და შესაბამისად მსუბუქი სასჯელის მიღება სხვადასხვა საპროცესო უფლებებზე უარის თქმის შედეგია. თუმცა, ეს ყოველივე ისე უნდა მოხდეს რომ არ დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს თამაშის წესები. სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის აღიარება ან გამოძიებასთან თანამშრომლობა შესაძლოა გახდეს სასჯელის შემსუბუქების საფუძველი. ევრო სასამართლოს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი კორუფციულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტურ იარაღად ესახება. სასამართლო მიუთითებს რომ უფლებაზე უარის თქმა, კონვენციის მიზნებთან თანხვედრაში რომ იყოს, ის უნდა განხორციელდეს აშკარა ფორმით და რეალიზებული უნდა იყოს მინიმალური დაცვის გარანტიები. უფლებაზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს, რომელიც სამართლებრივი წესრიგის აუცილებელი შემადგენელი

¹⁵⁸ Natsvlishvili and Togonidze v. Georgia, ECtHR, N- 9043/05, 24/04/ 2014 § 13

კომპონენტია. სასამართლომ საბოლოოდ მიიჩნია, რომ მომჩივანის მიმართ არ იყო განხორციელებული რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რაც იქნებოდა შეთანხმების უკანონოდ ცნობის საფუძველი. სასამართლო ნორმალურ გარემოებად მიიჩნევს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების შეზღუდვას, და ამ ფაქტს წინამდებარე ინსტიტუტის მახასიათებელ ნიშან თვისებად მიიჩნევს.

საინტერესოა *ზიანის ანაზღაურების საკითხი*, სასამართლო მას საპროცესო შეთანხმების შემადგენელ სეგმენტად განიხილავს და არ ხედავს უკანონოს იმ ფაქტში, რომ პროკურორი პირს ურიგდება ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებითაც.¹⁵⁹ სასურველი იქნება, ეს პირობა იმგვარ დანაშაულებშიც იყოს ასახული, რომელშიც დაზარალებული ფიზიკური პირია. ევროპული მიდგომა ზიანის ანაზღაურების ფაქტს *საკუთრების არამართლზომიერად* შემცირების შემთხვევად არ განიხილავს, და მას ეს ობიექტურ რეალობად მიაჩნია. პირმა უნდა აანაზღაუროს თავისი ქმედებით გამოწვეული ნეგატიური შედეგი.

დაზარალებულის ინტერესებთან დაკავშირებით ევრო სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა, „პერესის“ საქმეშიც, სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის პროცესი არ უნდა იქცეს პირადი შურისძიების ასპარეზად, დაზარალებულს არ უნდა ჰქონდეს სადამსჯელო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა, თუმცა, დაზარალებულის მოთხოვნა, თუნდაც, მინიმალური კომპენსაციის თაობაზე კანონიერი და ლეგიტიმურია. სასამართლოს განმარტებით, დაზარალებულს უნდა გააჩნდეს ქმედითი ბერკეტები ქონებრივი დანაკარგების შევსების.¹⁶⁰

დაზარალებულის ინტერესებს ხაზი გაუსვა ევრო სასამართლომ 2011 წლის გადაწყვეტილებაში „დიმიტროვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“. სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაში მონაწილეობის უფლება, და ეს არ არის ევრო კონვენციასთან შეუსაბამო. აღსანიშნავია, რომ ბულგარეთში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისათვის სავალდებულო იყო დაზარალებულის თანხმობა, შემდგომში ეს წესი მოდიფიცირდა.¹⁶¹

5.4 საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა საქართველოში

საპროცესო შეთანხმება ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოყენებადი ინსტიტუტია სასამართლოთა მხრიდან და საგულისხმოა, რომ მისი მეშვეობით საქმის გადაწყვეტა ყოველთვის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. აღნიშნული რა ფაქტორით არის ხშირად განპირობებული ძნელი სათქმელია, ვინაიდან მხოლოდ საქმის მოკლე ვადებში გადაწყვეტის მოტივით საპროცესო შეთანხმების გაფორმება არ უნდა იყოს გამართლებული. ეს უნდა იყოს პროცესის მონაწილეთა ერთობლივი კორდინაციის შედეგი, რომლის დროსაც მათი ინტერესები იქნება გათვალისწინებული, მათ შორის დაზარალებულის ინტერესებიც.

¹⁵⁹ Natsvlshvili and Togonidze v. Georgia, ECtHR, N-9043/05, 24/04/2014, § 22

¹⁶⁰ Perez v. France, ECtHRN- 472887/99, 12/02/2004, §15

¹⁶¹ Dimitrova and Others v. Bulgaria, ECtHR, N- 44862/04, 27/01/2011, § 88

ჩვენს მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მოპოვებული მონაცემები შთამბეჭდავია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს აღნიშნული ინსტიტუტის აქტიურ გამოყენებას მთელი საქართველოს მასშტაბით. მაგალითად, **რუსთავის** საქალაქო სასამართლოში 2018 წელს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის 754 საქმე. ამათგან რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 412 საქმეზე. საპროცესო შეთანხმების არ დამტკიცების რიცხვი კი ფაქტობრივად მინიმალურია. მხოლოდ ორ საქმეზე ეთქვა უარი პროკურატურას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან დაკავშირებით. საინტერესოა რომ საპროცესო შეთანხმება აქტირად მტკიცდება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზეც, კონკრეტულად, რუსთავის საქალაქო სასამართლოში ათ ასეთ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე კი საპროცესო შეთანხმება არ გაფორმებულა.¹⁶²

საგულისხმოა რომ **ამბროლაურის** სასამართლოში 2018 წელს განსახილველად შევიდა 44 სისხლის სამართლის საქმე, აქედან საპროცესო შეთანხმება დამტკიცებულია თვრამეტ სისხლის სამართლის საქმეზე, პროკურატურისათვის კი სასამართლოს უარი არასდროს უთქვამს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. საინტერესოა, რომ რეგიონების სასამართლოებში ძირითადად პროკურატურას უარს არ ეუბნებიან საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან დაკავშირებით.¹⁶³

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 2018 წელს შევიდა 372 სისხლის სამართლის საქმე, შთამბეჭდავია საპროცესო შეთანხმებათა რაოდენობა, სულ 230 საქმეზე დამტკიცდა იგი. პროკურატურას კი მხოლოდ ორ სისხლის სამართლის საქმეზე ეთქვა უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** მიმართული 20 საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმების გზით.¹⁶⁴

ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2018 წელს სულ 1123 სისხლის სამართლის საქმე შევიდა, აქედან საპროცესო შეთანხმება ნახევარზე მეტ, 631 საქმესთან დაკავშირებით დამტკიცდა, სამწუხაროდ უცნობია ამ საპროცესო შეთანხმებათაგან რამდენი იყო ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.¹⁶⁵

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში სულ სისხლის სამართლის 281 საქმე შევიდა, საპროცესო შეთანხმება კი მათგან 161 სისხლის სამართლის საქმეზე გაფორმდა. სასამართლოს არცერთ საქმესთან დაკავშირებით არ უთქვამს უარი მის დამტკიცებაზე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, 23 საქმე აქედან **ჯანმრთელობის** წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს შეეხებოდა, სადაც დაზარალებული უფრო მეტ ზიანს განიცდის.

¹⁶² საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნის განაცხადი : N 548/გ, www.service.court.ge

¹⁶³ საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნის განაცხადი : N 109/ გ, www.service.court.ge

¹⁶⁴ საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნის განაცხადი : N 602/ www.court.service.ge

¹⁶⁵ საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნის განაცხადი : N 441გ/კ www.court.service.ge

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საპროცესო შეთანხმება 1074 სისხლის სამართლის საქმიდან, 677 სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდა, უარი კი მის დამტკიცებაზე სასამართლოს 2018 წელს არ უთქვამს. **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** 15 და **სიცოცხლის წინააღმდეგ** მიმართულ 1 საქმეზე, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ფოთის საქალაქო სასამართლოშიც საკმაოდ მაღალია საპროცესო შეთანხმებათა დამტკიცების რიცხოვნობა, 366 სისხლის სამართლის საქმიდან, არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანით დამთავრდა 256 სისხლის სამართლის საქმე, 46 მათგანი კი **ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული** დანაშაული იყო. **ახლციხის** რაიონულ სასამართლოში კი 472 საქმიდან 242 დასრულდა საპროცესო შეთანხმებით, რომელთაგან 43 **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** მიმართულ საქმეს წარმოადგენდა.

რაც შეეხება გორს, აქ 512 სისხლის სამართლის საქმიდან 312 სისხლის სამართლის საქმეზე შედგა საპროცესო შეთანხმება, რომელთაგან, 28 **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** მიმართულ დანაშაულს უკავშირდებოდა.¹⁶⁶

საპროცესო შეთანხმება გამოიყენება **სააპელაციო** და **საკასაციო** სასამართლოებშიც. მაგალითად, 2018 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოში სულ 1708 სისხლის სამართლის საქმე შევიდა, აქედან 115 სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, მათ შორის **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** მიმართულ 7 და **სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ** ხუთ საქმეზე, უარი კი მხოლოდ რამდენიმე იყო, ისიც კანონმდებლობის ცვლილებიდან გამომდინარე, მცენარე კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებით.¹⁶⁷

უზენაეს სასამართლოში კი 2018 წელს შევიდა სულ 836 სისხლის სამართლის საქმე, აქედან საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 7 საქმეზე რვა პირის მიმართ, სასამართლოს არცერთ საქმესთან დაკავშირებით არ უთქვამს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე. ¹⁶⁸

სტატისტიკა ცხადყოფს, რომ **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** მიმართულ დანაშაულებში სასამართლო ჩვეულებრივ აკმაყოფილებს შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, ისევე როგორც სხვა დანაშაულებში და თითქმის 99% მაჩვენებლით. საპროცესო შეთანხმების ყველა კატეგორიის დანაშაულზე დამტკიცების ტენდენცია სამივე ინსტანციის სასამართლოში შეინიშნება.

¹⁶⁶ ინფორმაცია მიღებულია ოფიციალური მიმართვის მეშვეობით : N 9-62; N -4194; N -8434; N-1228; N-100; N -გ/ფ-3266;

¹⁶⁷ ინფორმაცია მიღებულია ოფიციალური მიმართვის მეშვეობით წერილი: N-01/109(ა)

¹⁶⁸ ინფორმაცია მიღებულია ოფიციალური მიმართვის მეშვეობით წერილი: N _ პ. 803-19,

დასკვნა

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება, იმის თქმა რომ საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მეტად საინტერესო და გარკვეულწილად აუცილებელი ინსტიტუტია, რომელსაც კიდევ უფრო დახვეწა და განვითარება სჭირდება, განსაკუთრებით, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით. ნაშრომის ძირითადმა ნაწილმა ნათლად ცხადყო, რომ საპროცესო შეთანხმება ეს არის ინსტიტუტი, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით არსებობის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, და შესაბამისად მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე ის ახლაც გამოიყენება სხვადასხვა სამართლის ოჯახის ქვეყნებში, როგორც ანგლო-საქსონური ისე კონტინენტური სამართლის. ეს სახელმწიფოები, საპროცესო შეთანხმების ადგილს თავისთავად სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ხედავენ.

ზოგიერთ ქვეყანას საპროცესო შეთანხმების საკმაოდ საინტერესო მოდელი აქვს დანერგილი და უარიგო არ იქნება თუ მათი მახასიათებლები ჩვენს საპროცესო კანონმდებლობაშიც იჩენს თავს, მათ შორის დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის ნაწილშიც. ზემოთ, ჩვენს მიერ ნაშრომის ძირითად ნაწილში მოყვანილი ქვეყნები ამის კარგი დასტურია.

საპროცესო შეთანხმებამ საქართველოში, როგორც ვნახეთ განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა გაიარა და დღეს, მივიღეთ იმ სახით, რა სახითაც გვაქვს ის საპროცესო კანონში მოცემული, თუმცა ის პრობლემები, რომელიც ნაშრომის ძირითად ნაწილში იქნა გაჟღერებული თვალში საცემია. ზიანის ანაზღაურების სირთულე, მოსამართლის შეზღუდული როლი, დაზარალებულის უუფლებობა, საპროცესო შეთანხმების თანხმობის გარეშე და თან ყველა კატეგორიაზე დადება, ეს ის პრობლემათა რგოლია, რომელიც დახვეწას საჭიროებს.

საპროცესო შეთანხმება არ უნდა იყოს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის, არამედ ის უნდა იყოს შუალედური რგოლი, სადაც პროცესის მონაწილეთა ინტერესები საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის დროს თანაბრად იქნება წარმოდგენილი. დაზარალებული არ უნდა იყოს საპროცესო შეთანხმებისაგან უუფლებოდ გაძევებული და უნდა არსებობდეს მისი ინტერესების გათვალისწინების ნორმატიული საფუძველი. საპროცესო შეთანხმების დროს დაზარალებულის ფორმალურ-სამართლებრივი უფლებაუნარიანობა რეალურმა საპროცესო ზემოქმედების საშუალებებმა უნდა ჩაანაცვლოს და, რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავს მისი მხარედ გახდომის საფუძველს. იმის ფონზე, რომ ევრო დირექტივა „მსხვერპლის უფლებების შესახებ“ ახდენს მსხვერპლთა დიფერენცირებას, საპროცესო შეთანხმების ქართული ვერსია კი ამის საპირისპიროდ უსისტემოდ უშვებს ნებისმიერ კატეგორიის დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დადებას. არ არის გამართლებული ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე, საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ყველა დანაშაულში დაზარალებულს ერთი დონის ზიანი არ ადგება. სასურველი იქნება ისეთ საქმეებში, სადაც დაზარალებული არის, ფიზიკური პირი, საპროცესო შეთანხმების დადება შეზღუდული იყოს, მაგალითად, ესტონეთის, ინდოეთის კანონმდებლობის მსგავსად. ძალადობრივი დანაშაულების დროს მსხვერპლი სახელმწიფოსგან უფრო მეტ და ეფექტურ

მხარდაჭერას საჭიროებს, მან უნდა იგრძნოს დანაშაულზე სახელმწიფო რეაგირების განხორციელების რეალური სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმება გახდება დაზარალებულში თვითიუსტიციის შემოქმედების მაპროვოცირებელი გარემოება. მორალური, ქონებრივი და ფიზიკური ხასიათის ზიანი, რომელიც რჩება რეალური რეაგირების გარეშე, განაპირობებს დაზარალებულში სახელმწიფოსთან გაუცხოებულ დამოკიდებულებას.

საპროცესო შეთანხმება უნდა უზრუნველყოფდეს სასჯელის მიზნების რეალიზებასა და კომპენსაციის მინიმალური სტანდარტების დადგენას. პროკურორის ფართო დისკრეცია არ უნდა გახდეს საპროცესო შეთანხმების არამიზნობრივად გამოყენების და როგორც ც.რატინი იტყოდა „თაროზე საქმეთა შემცირების საშუალება“. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულის მხარედ არ ყოფნა პროცესში არ უნდა განაპირობებდეს პირის უუფლებო მდგომარეობას და მისი ინტერესების არ გათვალისწინების მალეგიტიმირებელ გარემოებას. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა, დღესდღეობით არის აბსტრაქტული ხასიათის და მას ესაჭიროება მეტი კონკრეტიზება.

როგორც, ნაშრომის ძირითადი ფაზულიდან ჩანს სასამართლოც იწვევს კითხვის ნიშნებს საპროცესო შეთანხმების დადების დროს ყველა მიმართულებით და გამონაკლისი არც დაზარალებულის ასპექტია. 10 -15 წუთში პროცესის მომთავრება ძალზე ფორმალურ ხასიათს ატარებს, და კვაზი საპროცესო წარმოების სახეს იღებს. ამ დროში შეუძლებელია მოსამართლემ სიღრმისეულად შეამოწმოს ის ასპექტები, რომელზედაც თემის მსვლელობისას დეტალურად ვისაუბრეთ და მიმოვიხილეთ. დაზარალებულის ინტერესის გათვალისწინებაზე საუბარი მისი მხრიდან საერთოდ ზედმეტია და აღნიშნულს, რეალურად კანონმდებელი არც ავალდებულებს. სამართლიანი მართლმსაჯულება დაზარალებულისათვისაც არსებობს და მას უნდა ჰქონდეს საშუალება მისი ინტერესების რეალიზება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ეფექტურად მოხდეს და ეს არ იყოს უბრალო კონსულტირება, რომელსაც რეალურად არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. მართალია, დაზარალებულს ამოდრავებს ხშირად თავისი ვიწრო ინტერესი, მაგრამ ეს ინტერესი სწორედაც, რომ გამომდინარეობს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან, რომელსაც ახორციელებს ბრალდებული. რა თქმა უნდა, დაზარალებული არ უნდა იყოს პროცესის წარმართველი, პირისთვის პასუხისგებლობის დაკისრების ნაწილში, თუმცა ეს შეზღუდვა გარკვეული ბერკეტებით უნდა ბალანსდებოდეს. დამაბალანსებელი ამ შემთხვევაში შესაძლოა იყოს საპროცესო შეთანხმების დადების აკრძალვა სხვადასხვა ტიპის დანაშაულებზე,(და არა კატეგორიის) ასევე საპროცესო შეთანხმების პირობებში მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაწესება.

რა თქმა უნდა, საპროცესო შეთანხმების დროს კომპენსაციის პრინციპის დაწესება, როდი ნიშნავს პირისათვის სამოქალაქო პასუხისგებლობის დაკისრებას, სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ვინაიდან არ შეიძლება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საწყისების ერთმანეთში აღრევა. თუმცა, როდესაც დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი აკმაყოფილებს თვალსაჩინოების ტესტს, უნდა იყოს ბერკეტი, რომ დაზარალებულმა მოახერხოს

გარკვეული კომპენსაციის მიღება. ამერიკის პრაქტიკის გათვალისწინება, ამ მხრივ საინტერესოა. მოსამართლე, მხარების თანდასწრებით მსჯელობს მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუმცა ეს ამერიკაში როდი გამორიცხავს სამოქალაქო სარჩელის არსებობას. ქართულ მართლმსაჯულებაში სამოქალაქო სარჩელი ხშირად ვერ პასუხობს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ეფექტურად ანაზღაურების მოთხოვნებს.

დაზარალებულის ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელი უნდა იყოს, საპროცესო შეთანხმებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება, ანუ გარკვეული ხარისხის დანაშაულებზე ამ მოცემულობით, უნდა შეიძლებოდეს მისი მხრიდან საპროცესო შეთანხმების გასაჩივრება, შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთებით.

ამრიგად, არ არის მთლად ეფექტური მიდგომა საპროცესო შეთანხმების დადების დროს დაზარალებულის ყოველგვარი პროცესუალური ზემოქმედების გარეშე დატოვება, თანაც იმის ფონზე, რომ მისი ინტერესების გათვალისწინება კანონის დონეზე არ არის იმპერატიული ხასიათის ბრალდების მხარისა და მოსამართლესათვის.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილმა, სხვადასხვა მიმართულების მსჯელობებმა, წარმოაჩინა იმის აუცილებლობა, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი უფრო დაიხვეწოს და განვითარდეს, ზემოთ, ჩვენს მიერ მიმოხილული ასპექტები, მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს შეიცავდა, ეს სამართლებრივ რეაგირებას საჭიროებს, განსაკუთრებით დაზარალებულის ნაწილში. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არასდროს არ უნდა გახდეს წმინდა სახელშეკრულებო ურთიერთობის პროტოტიპი, სადაც პირობების დაწესება, მხარეთა მოხერხებულობაზე და გარკვეულ სამართლებრივ მანიპულირებებზე იქნება დამოკიდებული. საპროცესო შეთანხმება, უფრო მეტია ვიდრე უბრალო საკონტრაქტო, კომერსანტული ურთიერთობა, ვინაიდან მას შემხებლობა აქვს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ ღირებულებებთან.

საპროცესო შეთანხმების დროს, მრავალი ინტერესი დგას სასწორზე, ნეიტრალურმა ორგანომ უნდა შეძლოს ამ ინტერესთა გათანაბრება და დაბალანსება, რა თქმა უნდა, დაცვას საჭიროებს ბრალდებულის ინტერესიც, თუმცა მისი ინტერესების დაცვა ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამას მოყვეს თავად დაზარალებულის ინტერესების უფლების ხელყოფა. ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლება, სასურველი იქნება, სასამართლო, ბრალდების მხარე ამ თეზას, საპროცესო შეთანხმების დადების დროსაც თუ გაითავისებს, რომ დანაშაულისაგან ზიან მიყენებულ პირს, არ დარჩეს უსამართლობის გრძნობა და სამართლებრივი წესრიგისადმი უნდობლობა.

ბიბლიოგრაფია :

1. სამეცნიერო ლიტერატურა

1.1 ქართულენოვანი ლიტერატურა

1. კ. ბუაძე, საპროცესო შეთანხმების აქტუალური საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, ქუთაისი, 2014წ,
2. გ. ჭანტურიძე, საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის პრინციპებთან მიმართებაში, თბილისი, 2007წ,
3. პ. მონიავა, საპროკურორო სამართალი, თბილისი, 2015 წ,
4. ბ.ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი,1963წ
5. გ. მეფარიშვილი, ცხოვრება და კანონი, თბილისი,2008,
6. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2008
7. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ვ.გონაშვილის რედაქტორობით, ტომი I, თბილისი, 2008წ,
8. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები) რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2009წ,
9. შ.ტრექსელი, ჯ. სმერსის დახმარებით, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009წ,
10. ჯ. მაკბრაიდი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2011წ,
11. გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2014წ,
12. ევრო გაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, გამოცემის სამეცნიერო რედაქტორი ნ. გვენეტაძე, თარგმანი კ. წიქარიშვილი, თბილისი,2002წ,
13. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, ლ. ფაფიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2017წ,
14. საპროცესო შეთანხმება და საქმის სამართლიანი განხილვის უფლება: ეროვნული სამართალი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის პრაქტიკა, ლ. მესხორაძის რედაქტორობით, თბილისი, 2016
15. კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ გოლოვკო, ბ.ა, ფილიმონოვი დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007წ,
16. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015წ,
17. თ. ლალიაშვილი, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2015წ,
18. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), ავტორთა კოლექტივი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა, და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2012წ
19. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, ზ. მეიშვილის და ო. ჯორბენაძის რედაქტორობით, თბილისი, 2007წ,

20. პ. კობალაძე, პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალდებელი, თბილისი, 2018წ
21. სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2015
22. ნ. კრისტი „ტკივილის საზღვრები“, სასჯელის როლი სასჯელადსრულების პოლიტიკაში, თბილისი, 2017წ
23. მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია- მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011წ,
24. რ. უექსი, სამართლის ფილოსოფია, (ძალიან მოკლე შესავალი), თბილისი, 2012წ
25. რ. გოგშელიძე, საპროცესო შეთანხმება ყველა კატეგორიის დანაშაულზე?! ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“, N-1, თბილისი, 2007წ
26. ც. რატიანი, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N-1, თბილისი, 2007წ
27. გ. მეფარიშვილი, დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014წ,
28. ი. კოტეტიშვილი, საპროცესო შეთანხმება - შედარებითი მიმოხილვა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N-2, თბილისი, 2010წ,
29. კ. ჩიხლაძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში და საზღვარგარეთ, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2014წ,
30. თ. ლალიაშვილი, საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, „სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული“, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013წ
31. ხ. თანდილაშვილი, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, „გერმანულ ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, N-2, თბილისი 2017წ
32. მ. ჰეგერი, „ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სასამართლის პროცესის კანონმდებლობაში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა“, „ქართულ გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი“, N-2, თბილისი, 2016წ
33. ბ. ნიპარიშვილი, მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N-3, თბილისი, 2017წ,
34. გ. გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, „ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები,“ ზ. კორძაძის რედაქტორობით, თბილისი, 2016წ
35. მ. სალხინაშვილი, ნ. შუბლაძე, სისხლის საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო შეთანხმების თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N-3, თბილისი, 2007წ

36. გ. მეფარიშვილი, მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკის ქართული ვარიანტის ზოგიერთი ასპექტი, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014
37. გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“ N-2, თბილისი 2009წ,
38. ნ. გვენეტაძე, „საპროცესო შეთანხმება საქართველოში კანონმდებლობის ანალიზი“, „სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული“, მ.ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013წ.
39. თ. ზეპრი, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, თარგ. ი. რევიშვილი, თბილისი, 2007წ,
40. უ. ზაქაშვილი, სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“N-3, თბილისი, 2007წ
41. ა. მახარაძე, ზიანის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ N-1, თბილისი, 2009წ
42. ე.კავთუაშვილი, მოწმისა და დაზარალებულის კორდინატორი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“N-10, თბილისი, 2018წ
43. ა.გურიელი, მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო,“ N-5, თბილისი, 2016წ,
44. ა. ჯავახიშვილი, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, N-1, თბილისი, 2014წ,
45. დ. კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, N-2, თბილისი, 2011წ,
46. ი. ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N-2, 2013წ,
47. ა. გურიელი, დაზარალებულის მდგომარეობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“ N-4, თბილისი, 2016წ,
48. ნ. გაბრიჩიძე, საპროცესო შეთანხმება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N-3, თბილისი, 2004წ,
49. დ. მანაგაძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საპროცესო შეთანხმების დადებისას, ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, N-1,თბილისი, 2012წ
50. ვ. დოლიძე, საპროცესო შეთანხმება საქართველოში - ტენდენციები და გამოწვევები და ტენდენციები, ჟურნალი : სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები,N-3, თბილისი, 2018წ
51. დ. მანაგაძე, საპროცესო შეთანხმება საზღვარგარეთ და საქართველოში, ჟურნალი “მართლმსაჯულება და კანონი” N-1, თბილისი 2010წ,

1.2 სამეცნიერო ლიტერატურა (უცხოურენოვანი)

1. Sarah N. Welling, „Victim Participation in Plea Bargains“, Volume 65 | Issue 2, Washington University Law Review ,1987
2. Mike McCononville & Geoffrey Wilson, The Handbook of The Criminal Justice Process, Oxford university Press, 2002
3. Andrew Ashworth, The Criminal process, Second edition, Oxford University Press,1998
4. E. Chemerinsky, L. L. Levenson, Plea Bargaining And Guilty Pleas, Chapter 9, Book : Criminal Procedure, Third Edition, California Press, 2018,
5. Michael Ohear, „plea bargaining and procedural justice“, Georgia Law Review, (Law article N- 2), USA, 2008,
6. Rajat Bawaniwal, Plea bargaining in the Indian Criminal Justice System : an Analysis, The World journal, (N-5) ,New delh, 2017
7. K.V. Santhy, Plea bargaining in us and Indian Criminal Lawconfessions for Concessions university of law, Huderabad, 2013
8. Jenia I. Turner. “Plea bargaining”, law article N-(2), University Dedman School of Law, texas, 2017
9. Lynne Henderson, Revisiting Victim's Rights, University of Nevada, Las Vegas -- William S. Boyd School of Law, Nevada Law Review, The United States, 1999
10. Tina Wan, the Unnecessary evil of Plea Bargaining : an Unconstitotional conditions Problem and a not so – least restrictive alternative, Journal of law (N-4), California, 2012
11. Cynthia Alkon, Plea Bargaining as a Legal Transplant: A Good Idea for Troubled Criminal Justice Systems,Texas A&M University School of Law, article, (vol 19:33)5 USA, 2010
12. J.A. Wemmers; M maniki, Restitution in the context of criminal justice, Research in Brief,Canada, 2017
13. Erin O, Hara, Victim participation in The Criminal Process, journal of law and Policy, article 12, Brooklyn law school, USA, 2005,
14. J. Messitte, plea bargaining in varios criminal Justice systems Montevideo, Uruguay, 2010
15. Asher Flynn, Bargaining With Justice : Victims, Plea Bargaining And The victims, Monash University Law Review (Vol 37, No 3), The United States,2006,
16. G. Nicholas Herman, Plea Bargaining, Third edition, Huntigton, New York, USA, 2012

2. ანგარიშები და რეკომენდაციები :

1. საპროცესო შეთანხმება საქართველოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, თბილისი, 2012,
2. დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, „საქართველოს ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია“, 2016
3. იურიდიული დახმარება სისხლის სამართალში და საპროცესო შეთანხმება, პროექტის ხელმძღვანელი. ა. ტინსლი, თბილისი, 2017

3. ნორმატიული მასალა:

3.1 ქართულ ენაზე

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24.08. 1995. (13.10.2018)
2. საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (1963)
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, (20.02.1998)
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010 (20.06.19)
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999; (20. 06. 2019)
6. განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შესახებ“, N-13/-1, (2013)
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N-181/-2010, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი წესის დამტკიცების თაობაზე, ქ. თბილისი, (08/10/2010)

3.2 უცხოურ ენაზე

1. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (Rome, 4.XI.1950)
2. Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power“, General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985;
3. Directive 2012/29/EU of European Parliament and of The Council of 25 October (2012)
4. Victim’s bill of rights act, State of California Department of Justice, (04. November 2008)

4. სასამართლო გადაწყვეტილებები :

4.1 საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, N-/1016001215534, 05/01/18
2. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენი, N-1/3-18, 29/03/18
3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, N 1-208/19, 29/03/19
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, №1-804/18, 05/09/18
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი N-1/15, 16/05/16,
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი N-1/14/, 13/09/17
7. რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, N-1ა/03/-18, 2/03/18
8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე : N- 1გ/512-16, ქ. თბილისი, 17 /04/18
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე : N- 1ზ-860-18, ქ. თბილისი, 18/09/18
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი: საქმე N-340 აპ.-18, 10/12/18
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი: საქმე N- 568 აპ.-18, 19/03/19

4.2 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენ კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N-1/1/403,427. თარიღი-19.12.2008
2. საქართველოს მოქალაქეები - „ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია, გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N-2/12/1229, 1242, 1247, 1299, თარიღი- 14.12.2018

4.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. Natsvlshvili and Togonidze v. Georgia, ECtHR, 9043/05, Strasbourg 24/04/2014,
2. Perez v. france, ECtHR, N- 472887/99, 2004/02 , Strasbourg, 12/02/2004
3. Dimitrova and Others v. Bulgaria , ECtHR, N-44862/04, Strasbourg, 27/01/2011

4.4 ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები -Supreme Court of the United States -

1. Brady v. United States, 397, U.S. 742, 744 (1970)
2. Missouri v. Frye, 132, S. Ct., 1399, (2012)
3. Weldon gilbert v. United States, 321. U.S(2012)

5. გამოყენებული ინტერნეტ წყაროები :

1. [www.criminal.findlaw.com/procedure/plea bargains - in depth.html](http://www.criminal.findlaw.com/procedure/plea_bargains_in_depth.html).
ბოლოს ნანახია: (10.05.2019)
2. <http://jurip.org/wp-content/uploads/2017/03/Rajat-Bawaniwal.pdf>
ბოლოს ნანახია: (19.06.2019)
3. <https://caselaw.findlaw.com/us-9th-circuit/1719977.html>
ბოლოს ნანახია: (05.06.2019)
4. https://uknowledge.uky.edu/law_facpub/359
ნანახია:(23.05.2019)
5. <https://www.lexisnexis.com/en-us/gateway.page>
ბოლოს ნანახია : (19.05.2019)
6. <http://www.helpinelaw.com/employment-criminal-and-labour/PLEA/plea-bargaining-in-india.html>
ბოლოს ნანახია: (04.06.2019)
7. <https://scholarship.law.tamu.edu/facscholar/268>
ბოლოს ნანახია : (12.06.2019)
8. <https://victimsofcrime.org/our-programs/public-policy/amendments/california>
ბოლოს ნანახია: (22.06.2019)
9. <https://supreme.justia.com/cases/federal/us/397/742/>
ბოლოს ნანახია : (26.06.2019)
10. https://oag.ca.gov/victimservices/content/bill_of_rights
ბოლოს ნანახია : (28.06.2019)